საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 26 (829) | ოთხშაბათი, 9 თებერვალი, 1994 წელი | ფასი 1000 კუპონი.

მის აღმატებულებას ბატონ შევარდნაძეს

რფასო ბატონო თავმჯდომარევ,

ლობთ წერილისათვის, რომელიც გამომიგზავნეთ განვითარების ეწყობი კომიტეტის მიერ საქართველოს დახმარების მიმღები ქვე- ს სიაში შეტანისათვის. ძალზე მოხარული ვარ იმის გამო, რომ გა- რების ხელშემწყობი კომიტეტის უმაღლეს შეხვედრაზე 1993 13-14 დეკემბერს საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, ნის განვითარებისათვის დახმარების მისაღები ქვეყნების სიაში. ატივი ასევე გაცნობოთ, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღეს შეე- ლი შტატების ძლიერი მოთხოვნის შედეგად.

რიკის შეერთებული შტატები იმედოვნებს, რომ ეს ღონისძიება მა- ლურად დაეხმარება საქართველოს თავისი აღმშენებლობითი პრო- ების გადაწყვეტაში. ამაში კი გარწმუნებთ, რომ ამერიკის თებული შტატები ყოველმხრივ დაგეხმარებათ.

გულწრფელად
დავიდ არონი,
ელჩი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ემბოლიკის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავებასთან დაკავშირებით ნას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკის (გერბი, შა, ჰიმნი) მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლ-

ქსანდრე ჯავახიშვილი — ჯგუფის ხელმძღვანელი, ს. ჯანაშიას სა- ბის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექციის მრჩევე- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

უჯა ამაშუკელი — საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდო-

, გიორგი (გამრეკელი) — თბილისის სასულიერო აკადემიის რე-

ეთ მაღრაძე — საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრი;

ნ მეტრეველი — თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელ- უნივერსიტეტის რექტორი;

ლა ნათელაშვილი — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ნან ნასიძე — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდო-

ამ ფანჯიკიძე — საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდო-

ურ შენგელაია — საქართველოს პარლამენტის წევრი;

რამ ხერიშვილი — სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წე-

დეველოს სამუშაო ჯგუფს წარმოადგინოს თავისი მოსაზრებანი, ები, მაკეტები და პროექტები სახელმწიფო საკონსტიტუციო კო- ს 1994 წლის 1 მარტამდე.

საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო ის აპარატებმა უზრუნველყონ სამუშაო ჯგუფის საქმიანობა.

ე. შევარდნაძე.

ილისი, 7 თებერვალი, 1994 წელი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

ღვარგარეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რობის უძრავ-მოძრავი ქონების, არქივის დადგენისა და ების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ

ათავისუფლდეს კონსტანტინე კემულარია საზღვარგარეთ საქა- ლოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უძრავ-მოძრავი ის, არქივის დადგენისა და მიღების საკითხების შემსწავლელი სა- იფო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ნიშნოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი თე- ნინიძე საზღვარგარეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბ- მთავრობის უძრავ-მოძრავი ქონების, არქივის დადგენისა და მი- საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე.

ილისი, 7 თებერვალი, 1994 წელი.

საუბარი საგარეო საქმეთა სამინისტროში

თებერვალს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსან- ჩიკვაიძემ მიიღო საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი საქართველოში ბერნარ ფასიე მისივე თხოვნით. ელჩმა დაადასტუ- მაღალი შეფასება, რომელიც მისი ქვეყნის მთავრობამ მისცა სა- ლოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის რდ შევარდნაძის ოფიციალურ ვიზიტს საფრანგეთში. მან აღნიშნა, საფრანგეთში დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს რუსეთის ენტის ბორის ელცინის ვიზიტს საქართველოში და დიდ მნიშ- ობას ანიჭებენ ორი ქვეყნის ლიდერების თბილისში ხელმოწერილ -საქართველოს დოკუმენტებს. ეს, უეჭველია, დადებით გავლენას ენს სიტუაციაზე კავკასიის რეგიონში და, კერძოდ, საქართველოში. რის დროს განიხილეს აგრეთვე პარიზში ედუარდ შევარდნაძის ს დროს ხელმოწერილ დოკუმენტებში მოცემული საქართველოსა რანგეთის თანამშრომლობის გაფართოების მექანიზმების ოპერა- ამოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს ეკლესიისა და უნივერსიტეტის ერთიანობის დღე

თებერვალი მეფე დავით IV აღმაშენებლის ხსენების დღეა. 8 თე- თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის — ველოში უმაღლესი განათლების უპირველესი კერის, დაბადების არის, ამიტომაც არაფერია იმაში უჩვეულო, რომ 8 თებერვალს რსიტეტის რექტორი და სამეცნიერო საბჭოს წევრები სიონის სა- რო ტაძარში დაესწრნენ მეფე დავითის ხსოვნის მოსახსენიებელ , ეახლნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმი- და უნეტარეს ილია მეორეს, რომელმაც სტუმრები დიდი პატი- ით. ამ შეხვედრაზე ითქვა, რომ ეს ისტორიული დღე საქართ- ეკლესიისა და უნივერსიტეტის ერთიანობის დღედ უნდა გადა-

მეც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ამ ღირსსახსოვარი თარიღებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სხდომა. დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და ეს დღე მიულოცა რსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. მან მო- მიმოიხილა უნივერსიტეტის ისტორია დაარსებიდან დღემდე. შა- ლო, 1993 წელი უნივერსიტეტისათვის საიუბილეო იყო — მას წელი შეუსრულდა, მაგრამ საქართველოში არსებულმა უმძიმეს- რებამ მისი ღირსეულად აღნიშვნის საშუალება არ მოგვცა. ჩვენს ლზე გაჩაღებულმა სამამულო ომმა უნივერსიტეტის არაერთი ლი პედაგოგისა და სტუდენტის, კურსდამთავრებულის სიცოცხ- იწირა. შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ომში ლთა ხსოვნას.

ემა როინ მეტრეველმა პრემიები გადასცა გამარჯვებული ნაშ- ის ავტორებს. პეტრე მელიქიშვილის სახელობის სამეცნიერო მიენიჭა ავტორთა ჯგუფს პროფესორ ბორის კიკიანის ხელმძღ- ობით, აკაკი შანიძის სახელობის სამეცნიერო პრემია — გერმან- ართველოლოგს ჰაინც ფენრიხს და პროფესორ ზურაბ სარჯველა- 1993 წლის საუნივერსიტეტო სამეცნიერო პრემია მიენიჭათ ავტო- ფესორ გივი ხვანაძის ხელმძღვანელობით წიგნისათვის დაბლობი; ბუნებრივი პირობები და სოციალურ-ეკონომი- ასპექტები“ და პროფესორ გივი ნებიერიძეს (სიკვდილის შემდეგ) ისათვის „ენათმეცნიერების შესავალი“.

ნინო თათრულაიძე,
საქინფორმის კორესპონდენტი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის ანტიკრიზისული პროგრამისა და 1994-1995 წლებისათვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპებისა და პროგნოზული პარამეტრების შესახებ

1. მიღებულ იქნეს ანტიკრიზისული პროგრამის საფუძვლად მინისტრთა კაბინეტის მიერ სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულების (№262) შესაბამისად შემუშავებული „მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების პროგრამის“ ახალი რედაქცია და „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპებისა და პროგნოზული პარამეტრების“ შესახებ წარმოდგენილი პროექტი.

2. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა განიხილოს და სამინისტროებიდან, უწყებებიდან, სამეცნიერო ცენტრებიდან, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებიდან შემოსული წინადადებების, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევრობანკის, ევროგაერთიანების, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოში მოწვეული უცხოელი ექსპერტების, კონსულტანტების, სპეციალისტების შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, 1994 წლის 15 თებერვლამდე, მეცნიერული აპრობაციის შემდეგ, დაამტკიცოს საქართველოს რესპუბლიკაში „მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების პროგრამა“ (ახალი, გადამუშავებული რედაქცია) და „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპები და პროგნოზული პარამეტრები (1994-1995 წ. წ.)“.

3. მინისტრთა კაბინეტმა განიხილოს პოლიტიკური კურსის საფუძვლად შერჩეული ანტიკრიზისული პროგრამის და 1994-1995 წ. წ. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპებისა და პროგნოზული პარამეტრების ალტერნატიული პროგრამები და პროექტები და ოპონენტთა ყველა მისაღები, დასაბუთებული, რაციონალური კონცეფცია და რეკომენდაცია გამოიყენოს ანტიკრიზისული პროგრამის თანდათანობითი სრულყოფის, მისი საბოლოო ვარიანტის შემუშავების პროცესში.

4. მინისტრთა კაბინეტმა ანტიკრიზისული პროგრამისა და რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპებისა და პროგნოზული პარამეტრების დამტკიცებამდე მოაწყოს მათი განხილვა სამინისტროების, უწყებების, ეროვნული ბანკის, მართვის რეგიონული სტრუქტურების, ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკის ინსტიტუტის, მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით.

5. მინისტრთა კაბინეტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს კრიზისის დაძლევაში იმ ფაქტორების გამოყენებას, რომ საქართველომ მიიღო განვითარებადი ქვეყნის სტატუსი და ის გახდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი.

წარმოდგენილი ანტიკრიზისული პროგრამის და ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპებისა და პროგნოზული პარამეტრების პროექტში ამ მოვლენებმა სათანადო ასახვა ვერ ჰპოვეს. საჭიროა ამ ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

6. აუცილებელია ანტიკრიზისული პროგრამისა და „რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპებისა და პროგნოზული პარამეტრების“ პროექტის სრულყოფის პროცესში სტატისტიკური მონაცემების უკეთ დაზუსტება, ეკონომიკური და სოციალური პროგნოზირების მეცნიერული, თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების გაძლიერება და აღნიშნული დოკუმენტების პრაქტიკული ღირებულების ამაღლება საბაზრო ეკონომიკის დარგში ეროვნული და მსოფლიო გამოცდილების შემოქმედებითად გამოყენების საფუძველზე.

7. რესპუბლიკის ყველა სამინისტრომ, კომიტეტმა, დეპარტამენტმა, კორპორაციამ, კონცერნმა, ინსპექციამ, ყველა უწყებამ, 1994 წლის 28 თებერვლამდე აუცილებლად შეასრულოს „კრიზისის დაძლევისა და სტაბილიზაციის პროგრამის“ შესახებ სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულებით გათვალისწინებული ყველა დავალება;

ა) ვიცე-პრემიერებმა, მინისტრებმა, უწყებათა ხელმძღვანელებმა განსაკუთრებით მკაცრი კონტროლი დააწესონ სახელმწიფოს მეთაურის 262 ბრძანებულებით გათვალისწინებული პროგრამების („ბიუჯეტი“, „მრეწველობა“, „ენერგეტიკა“, „სოფლის მეურნეობა“, „კვების მრეწველობა“, „მშენებლობა“, „არქიტექტურა“, „კავშირგაბმულობა“, „ტრანსპორტი“, „ვაჭრობა“, „მომარაგება“, „ეკოლოგია“, „შრომა“, „მოსახლეობის სოციალური დაცვა“, „ჯანმრთელობა“, „სადაზღვევო მედიცინა“, „ექსპორტი“, „იმპორტი“, „თავდაცვა“, „წესრიგი და კანონიერება“, „განათლება“, „კულტურა“, „მეცნიერება“, „თანამედროვე ტექნოლოგიები“, „რადიო“, „ტელევიზია“, „ჟურნალი“, „გაზეთი“, „წიგნი“, „მსოფლიო საინფორმაციო სამსახური“, „ტურიზმი“, „სპორტი“, „ახალგაზრდობის პრობლემები“, „საგარეო პოლიტიკა: კონცეფცია. დიპლომატიური და ეკონომიკური ასპექტები“) შედგენასა და შესრულებაზე, ანტიკრიზისული პროგრამით გათვალისწინებული პროექტებისა და ქვეპროგრამების სრულყოფაზე;

ბ) მიზანშეწონილად ჩაითვალოს დადგენილი წესით სამინისტროების, უწყებების, სამეცნიერო ცენტრების და სხვა ორგანიზაციების ინიციატივით, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი პროგრამების შემუშავება.

8. საქართველოს რესპუბლიკის ანტიკრიზისულმა პროგრამამ და 1994-1995 წლებისათვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპებისა და პროგნოზული პარამეტრების პროექტმა ხელი უნდა შეუწყონ ეკონომიკურ რეფორმებს, კერძო სექტორის განვითარებას, საბაზრო ეკონომიკის ფორმირებას. ამიტომ, დაუშვებლად მიგვაჩნია მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების პროგრამის გადამუშავებული პროექტიდან ეკონომიკის სამინისტროს მიერ ქვეთავის „პრივატიზაცია და კერძო სექტორის განვითარება“ — ამოღება. პირიქით, საჭიროა ანტიკრიზისული პროგრამის ამ ქვეთავის მეცნიერულად დასაბუთებულად გაფართოება და გაღრმავება;

აუცილებელია 1994 წლის ეკონომიკური რეფორმების გეგმის შემუშავება და ეკონომიკური კრიზისის დაძლევის, სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელებისა და საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის საჭირო კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მომზადების გეგმის შემდგომი სრულყოფა და ოპტიმალურ ვადებში რეალიზაცია. ამ მიზნით, აუცილებელია პარლამენტთან მინისტრთა კაბინეტის კონსტრუქციული, ნაყოფიერი თანამშრომლობა.

9. საქართველოს რესპუბლიკის ანტიკრიზისული პროგრამისა და „ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპებისა და პროგნოზული პარამეტრების“ პროექტის საფუძველზე ყველა სამინისტრომ და უწყებამ, ყველა სოფლის, ყველა ქალაქის, ყველა რეგიონის ადმინისტრაციამ 1994 წლის 28 თებერვლამდე შეადგინონ კრიზისის დაძლევის და მდგომარეობის სტაბილიზაციის საუწყებო და რეგიონული პროგრამები და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მათ განხორციელებას.

ქალაქების, სოფლების, რაიონების, ადგილობრივი ანტიკრიზისული პროგრამები და რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპები და პროგნოზული პარამეტრები 1994-1995 წლებისთვის უნდა ითვალისწინებდნენ ადგილობრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების გონივრულ ბალანსს.

10. მინისტრთა კაბინეტმა რესპუბლიკის პარლამენტს 1994 წლის 1 მარტამდე განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინოს „საქართველოს რესპუბლიკის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის“ ახალი გადამუშავებული რედაქცია და „ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპები და პროგნოზული პარამეტრები (1994-1995 წ. წ.)“.

11. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

ა) ყოველთვიურად შეაჯამოს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამისა და რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპებისა და პროგნოზული პარამეტრების განსახორციელებლად გაწეული მუშაობა და გადამწყვეტი ზომები მიიღოს ეკონომიკური და სოციალური კრიზისის დაძლევისა და მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის;

ბ) ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ თვეში ერთხელ წერილობით მოახსენოს სახელმწიფოს მეთაურს, კვარტალში ერთხელ — პარლამენტს.

12. მინისტრთა კაბინეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში დინამიურად ცვლადი ვითარების გათვალისწინებით, აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, ეკონომიკური პროფილის ინსტიტუტებთან, სოფლის მეურნეობისა და საინჟინრო აკადემიებთან, სხვა სამეცნიერო ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობით შეიმუშაონ და სათანადო ცვლილებები შეიტანონ ანტიკრიზისულ პროგრამაში, პროგნოზულ პარამეტრებში.

13. ანტიკრიზისული პროგრამისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზული პარამეტრების ხორცშესხმის მიზანია წარმოების გამოცოცხლება, სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, ბიუჯეტის ოპტიმალური დაბალანსება, კუპონის კურსის განმტკიცება, ხალხის საარსებო დონის ამაღლება, უმუშევრების, ლტოლვილების, იძულებით გადაადგილებული პირების, სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ფენებისათვის დახმარების გაწევა, პრივატიზაციის დაჩქარება, კერძო სექტორის, მცირე, საშუალო და დიდი ბიზნესის, დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის ფორმირება და განვითარება, მოსახლეობის საიმედო სოციალური დაცვა, ერის სულიერი აღორძინება.

14. ანტიკრიზისული პროგრამისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზული პარამეტრების ხორცშესხმისათვის ბრძოლა სისტემატიურად და ფართოდ გაშუქდეს პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში.

15. განკარგულების შესრულებაზე დაწესდეს მკაცრი კონტროლი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

ქ. თბილისი. 7 თებერვალი, 1994 წ.

საქართველოს პარლამენტი

ლოგიკური პარადოქსები

მათემატიკა ქართულად

წამზომი ჩართულია.

მით უფრო ძნელდება ფიქრი. პარლამენტის 8 თებერვლის სხდომა კი ჩვეულებრივი რიტმით მიდის.

დღის წესრიგამდე — მოთელვა. დასაწყისშივე აღმოჩნდა საბრალდებო სკამზე ისეთი უწყინარი დამნაშავე, როგორიც პულტია. მაგრამ ეს, ერთი შეხედვით. წამზომი ჩართულია, დასკვნებისთვის — დრო არასაკმარისი. ცხადი მხოლოდ ის არის, რომ ბრალდებები ორმხრივია. დეპუტატებს პულტის „პატიოსნებაში“ შეაქვთ ეჭვი, ტექნიკის მომსახურე პერსონალი კი აღმოაჩენს ხოლმე, რომ უფრო ხშირად სწორედ პულტია უდანაშაულო. მაგალითისთვის: სხდომის დასაწყისში რეგისტრაცია გაიარა 117-მა დეპუტატმა. ამ დროს დარბაზს ოთხი დეპუტატი შემოემატა, თუმცა ხელახალი რეგისტრაციისას ელექტროტაბლომ ჯიუტად ისევ 117 აჩვენა. „მათემატიკა ქართულად“, — ასე განმარტა ეს მოვლენა ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

მოთელვის საკითხთაგან ერთ-ერთი უმთავრესი და უმწვავესი აღმოჩნდა მინისტრთა კაბინეტის შენობის (ყოფილი ცკ-ის შენობა) პარლამენტისთვის გადაცემა. რესპუბლიკელებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა და ქარტიელებმა ხაზი გაუსვეს, რომ წინადადება საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილიდან მოდიოდა (საკითხი დააყენა დამოუკიდებელმა დეპუტატმა ვაჟა ოთარაშვილმა) და წინდაწინ ისიც თქვეს, რომ კენჭისყრის დროს ისინი წინააღმდეგ მისცემდნენ ხმას. ყოფილმა პრემიერმა თენგიზ სიგუამ თქვა, რომ შენობების გაცვლა ტექნიკურად დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული და რომ ეს გამოიწვევს როგორც მინისტრთა კაბინეტის, ისე პარლამენტის სულ ცოტა ორი-სამი კვირით პარალიზებას.

დეპუტატი ლუიზა შაკიაშვილი გაოცებული იყო: ხალხს პური და მწვანილიც კი უჭირს, ჩვენ კი აქ უკეთესი ბინების მოპოვებაზე, მანქანებსა და კაბინეტებზე ვბჭობთ. ჩვენ კი სხვა რამემ გაგვაკვირვა: ერთი მხრივ, ლაპარაკია ახალ არჩევნებზე, მეორე მხრივ კი — სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე. რა არის ეს — ლოგიკა თუ პარადოქსი? პასუხი: ლოგიკური პარადოქსი: „რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა, სიძნელე გზისა გაუადვილდეს“.

საბინაო საკითხის შემდეგ მოთელვის დღის წესრიგში დეპუტატთა დაცვის საკითხი დადგა. ითქვა, რატომ ზოგიერთი დეპუტატი პარლამენტში შეიარაღებული დაცვის თანხლებით დადისო. განსაკუთრებული პრეტენზიები თენგიზ სიგუას დაცვის მისამართით გამოითქვა. ქართლოს ღარიბაშვილმა ისიც თქვა, ფიზიკურადაც კი შემეხნენო. ასე, რომ ადვოკატს ადვოკატი დასჭირდა.

ერთიც: ისევ ლოგიკური პარადოქსი. ამჯერად კულისებიდან:

დამოუკიდებელი დეპუტატი ნოდარ კოხრეიძე აღშფოთებული ამბობდა, სოფლის მეურნეობის მინისტრს რომ ვთხოვეთ გაზაფხული ცხვირწინ არის, საწვავზე იზრუნეთ, თორემ თუ ახლა არ მოვხანით და დავთესეთ, შიმშილი არ აგვცდებაო, იცით რა გვიპასუხა? ბენზინს საეჭვო, ცუდი სუნი სდის და მაგ საქმეში ვერ ჩავერევიო.

საეჭვო სიმაღლეებს სწვდება ბენზინის უსიამოვნო სუნი, რაც ძალზე ძვირი გვიჯდება ჩვენ და თქვენ.

დეპუტატი თედო პაატაშვილი შეეცადა სესიის მიმდინარეობისთვის კალაპოტი ეცვალა და ჩვეული ტაქტით მოითხოვა, იქნებ გალის რაიონში შექმნილი ვითარების შესახებ დიდი შესვენების შემდეგ მაინც გვემსჯელაო.

სხდომამ, მოგვიანებით მართლაც, იცვალა კალაპოტი — ნაშუადღევს სხდომა დღის წესრიგის განხილვას შეუდგა.

ტრიბუნაზე ასულმა ბატონმა გივი ლომინაძემ განსახილველად გამოიტანა „კანონი ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“.

ისევ აფხაზეთი

არის კი აფხაზეთის ტკივილი საქართველოს ტკივილი? თავისთავად საკითხის ამგვარი დასმაა უმწარესი, მაგრამ სწორედ ამგვარად დადგა იგი პარლამენტის სხდომაზე და სესიის მიმდინარეობაც, როგორც ჯერ კიდევ დილის სხდომაზე იყო ამის სიმპტომი, ნამდვილად სხვა კალაპოტში მოექცა.

გალის რაიონის გამგებელმა ვახტანგ ყოლბაიამ პარლამენტს სამწუხარო ცნობები მიაწოდა თუ შეახსენა: 10 თებერვლიდან გალის რაიონში დაბრუნების იმედით მოსახლეობა იქით დაიძრა, ახლა კი, მსხვერპლის გარდა 3.000 კაცი ტყეშია თავშეფარებული და შველას ითხოვს. მთავრობამ უკვე გააგზავნა დასახმარებლად შვეულმფრენი.

მიკროფონებთან:

ბორის კაკუბავა: სანამ აფხაზეთის ტერიტორიაზე არ აღსდგება საქართველოს იურისდიქცია, იქ არც ერთი ადამიანის შესვლა არ შეიძლება;

ნოდარ ნათაძე: რომ გამოძიებულიყო გაგრის დაცემა, არ დაეცემოდა სოხუმი, რომ გამოგვეძიებინა სოხუმის ამბები, არ განმეორდებოდა ეს ტრაგედია..

დავით ბერძენიშვილი: ჩვენთან უკვე წესად იქცა: შეთანხმება-ხელშეკრულებას საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვით ქართველი მოსახლეობის ამოჟლეტა მოჰყვება ხოლმე მოყოლებული 3 სექტემბრიდან.

გიორგი კობახიძე: რუსის ჯარი არ იქნება და ვერ იქნება გარანტი...

თედო პაატაშვილი: აფხაზ სეპარატისტთა რა ძალებია გალის რაიონში? რა პოლიტიკას ვაწარმოებთ აფხაზეთთან დამოკიდებულებაში — რატომ ჩამოვუშვით ხელები? შეუძლებელია საქართველოს არმიის ჩამოყალიბება?...

ლანა ღოღობერიძე: პარლამენტმა თავისი ფუნქცია უნდა მოძებნოს. ჩემი აზრით, უნდა მივიღოთ მიმართვები გაეროს, როგორც გარანტისადმი და რუსეთისადმი, რომელმაც უნდა გაიზიაროს პასუხისმგებლობა.

ვიცე-სპიკერმა წაიკითხა საქართველოს მთავრობის მიერ რუსეთის ხელისუფლებისადმი გაგზავნილი მიმართვის ტექსტი.

სხდომა გვიან საღამომდე გრძელდებოდა.

გალინა ხარებაშვილი,
ირინე ჩომახიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საპარლამენტო კორესპონდენტები.

ბოლო სვეტი

„დავითობა“ — აღმშენებლობის სიმბოლო

ქუთაისი — გელათი. 8 თებერვალი. (საქინფორმის კორ. მაკა კილაძე-შარვაშიძე). სახელოვანი მეფის ხსენების დღეს — 8 თებერვალს ქუთაისმა და გელათმა კვლავ გულითადად უმასპინძლა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ მრავალრიცხოვან სტუმრებს. დიდი მეფისა და მამაცი მხედართმთავრის საძვალეს — გელათს ეწვია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. აქ ჩამოვიდნენ მეცნიერები, მწერლები, კულტურის მოღვაწენი, პარლამენტარები, ქუთაისისა და მახლობელი რაიონების ხელმძღვანელები, ქუთაისში დისლოცირებული 21-ე მოტომსროლელი ბრიგადის ახალწვეულები, მოსწავლე ახალგაზრდობა. დავით აღმაშენებლის საფლავთან მათ ფიცი დადეს, რომ ყველაფერს იღონებენ, რათა განამტკიცონ ქვეყნის საზღვრები, აღადგინონ დანგრეული ქალაქები და სოფლები.

სამონასტრო კომპლექსის მთავარ ტაძარში გაიმართა საზეიმო პარაკლისი. დავით აღმაშენებლის სულის მოსახსენიებელი ლოცვა აღავლინა ქუთათელ-გაენათელმა მთავარეპისკოპოსმა მეუფე კალისტრატემ.

შემდეგ დავით აღმაშენებლის ხსენებისადმი მიძღვნილმა ზეიმმა ქუთაისში გადმოინაცვლა. სულ ახლახან, 15 იანვარს, დაფუძნდა საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს — ბაგრატის ტაძრის აღდგენის ფონდი. განსახორციელებელ ღონისძიებათა ნუსხაში დიდი ადგილი დაეთმობა ქუთაისის მთავარი მოედნის კეთილმოწყობას. აქ დაიდგმება დავით აღმაშენებლის ძეგლი, რომლის ავტორია ცნობილი მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი. იქ, სადაც ძეგლი აღიმართება, დღეს საზეიმოდ ჩაეყარა საფუძველი ნიშანსვეტს.

აქტუალური ინტერვიუ

„ეს არ იყო იოლი ამოცანა...“

ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძესთან

8 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გაეროს შტაბ-სადგომიდან დაბრუნდა საქართველოს დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჩიკვაიძის ხელმძღვანელობით. იმის მიუხედავად, რომ მინისტრი დაუყოვნებლივ ჩაერთო ბატონ ბორის ელცინის ოფიციალური ვიზიტის მსვლელობაში, საკითხის უდიდესმა მნიშვნელობამ თავისთავად განაპირობა ამ ინტერვიუს აუცილებლობა.

— ბატონო მინისტრო, რა იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს დელეგაციის ჩასვლის კონკრეტული მიზანი და რა პრობლემები დასძლიეთ ამ მიზნის მისაღწევად?

— მოგეხსენებათ, რომ 1 თებერვლისთვის აფხაზეთში გაეროს მეთვალყურეთა მისიის მანდატი იწურებოდა და შესაბამისად თავი და თავი ამოცანა მისი გახანგრძლივება გახლდათ, ეს კი განაპირობებდა გაეროსა და საერთაშორისო ინსტიტუტების შემდგომ მონაწილეობას, რომლისთვისაც გამორიცხულია სამშვიდობო ოპერაციების განხორციელება.

ამას გარდა, აფხაზთა მხარემ გააქტიურა რეგიონის დემოგრაფიული შემადგენლობის ცვლილებისათვის გადამთიელთა ჩასახლების მცდელობა, რაც სამომავლო რეფერენდუმის გზით საკუთარი დანაშაულის გამართლებას გაუადვილებს. ლტოლვილთა დაბრუნების თაობაზე ადრე გამართული მოლაპარაკებების დროს მიღწეულ შეთანხმებათა არად ჩაგდებით სეპარატისტებმა კვლავ წამოაყენეს რამდენიმე წინაპირობა. ამის გამო, მოსკოვის ბოლო შეხვედრის პრაქტიკული შედეგები საეჭვო გახდა. ამდენად, აუცილებელი იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მხრივ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპის კიდევ ერთხელ აღიარება, ლტოლვილთა უსაფრთხო და ყოველნაირი უწინაპირობო დაბრუნების საკითხის წამოჭრასთან ერთად. თანაც, დასაწყისშივე უნდა დაგმობილიყო აფხაზეთის დემოგრაფიული სურათის დამახინჯების მცდელობა და შესაძლო რეფერენდუმის შედეგები.

ამერიკაში ჩასვლისთანავე შევხვდით გაეროს გენერალურ მდივანს ბუტროს ბუტროს გალის, გაეროს პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელობას, უშიშროების საბჭოს წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. ჩვენი შენიშვნების გათვალისწინებით, ერთობლივად დამუშავდა რეზოლუციის პროექტი. საქართველოს მიმართ საერთაშორისო მხარდაჭერის მიუხედავად, (შექმნილია „საქართველოს მეგობარი ქვეყნების“ ჯგუფი ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და რუსეთის შემადგენლობით). ყველაფერი ეს არ იყო იოლი ამოცანა. იგივე გაეროს პროცედურის მიხედვით რეზოლუციებში შესწორების შეტანა სულ ცოტა 24 საათს საჭიროებს, რადგან ამ დროის განმავლობაში უშიშროების საბჭოს ყველა წარმომადგენელი უნდა დაუკავშირდეს თავისი ქვეყნის დედაქალაქს, დააფიქსიროს პოზიცია და მიიღოს სათანადო ინსტრუქციები, რის შემდეგაც კონსულტაციები იმართება და მხოლოდ მერე ხდება შესაძლებელი რეზოლუციის მიღება. დრო კი არ ითმენდა — ინფორმაცია მოსკოვის შეხვედრის შესახებ თბილისიდან 30 იანვრის საღამოს მივიღეთ, 31 იანვარს კი უშიშროების საბჭოს სხდომა იყო დანიშნული, აუცილებელი გახდა უკვე შეთანხმებული რეზოლუციის პრაქტიკულად ახალი პროექტის მომზადება. იმარჯვა გაეროში ჩვენმა მუდმივმა წარმომადგენლობამ, მისმა ყველა წევრმა ბატონ პეტრე ჩხეიძის ხელმძღვანელობით. ვიმუშავეთ 24 საათი, გამოვიყენეთ ყველაფერი — ძველი და ახალი ბილიკები, პირადი კონტაქტების ჩათვლით. საბედნიეროდ, სასურველ და აუცილებელ შედეგს მივაღწიეთ.

— ბატონო ალექსანდრე, უშუალოდ რეზოლუციის შესახებ...

— რეზოლუციის რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს გამოვყოფდი: გაეროს მეთვალყურეთა მისიისა და სამშვიდობო ძალების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის, ხიზანთა საკითხებს ვგულისხმობ.

მიღებული რეზოლუციით გაეროს მეთვალყურეთა მისიის მანდატი გაფართოვდა და 1994 წლის 7 მარტამდე გახანგრძლივდა. თანაც, მეთვალყურეთა რიცხვი 88-მდე გაიზრდება. ამას გარდა, მოლაპარაკების მესამე რაუნდის შემდეგ, რომელიც 22 თებერვლისთვის არის დაგეგმილი, გენერალურმა მდივანმა უშიშროების საბჭოს დავალებით, დაუყოვნებლივ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია იმ გარემოებათა შესახებ, რომელიც აუცილებელს ხდის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების განლაგებას შესაბამის კონკრეტულ გეგმასთან ერთად.

მაგრამ სურათი არასრული იქნებოდა, ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი რეალობის გაუთვალისწინებლად. თქვენ იცით, რომ საქართველოს დელეგაციამ ბატონ ჯაბა იოსელიანის ხელმძღვანელობით აფხაზურ მხარესთან უკვე ორჯერ წარმატებით გამართა მოლაპარაკებები ჟენევაში. ფაქტია, რომ საფუძველი ჩაეყარა ახალ, თანაც თვისებრივად განსხვავებულ პრინციპებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზთა მხრიდანაც გამოიკვეთა ახალი, ჩვენთვის არასასურველი მიმართულებები, რასაც, პოლიტიკური ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, მოვლენათა შემდგომ მსვლელობაზე უარყოფითი გავლენის მოხდენა

(დასასრული მე-2 გვ.).

აქტუალური ინტერვიუ

„ეს არ იყო იოლი ამოცანა...“

(დასასრული)

შეეძლო. გაეროს ეს რეზოლუცია ამ თვალსაზრისითაც ერთობ დროულია.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის პარიზში ვიზიტის დროს გამართა ბატონ ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა გაეროს გენერალურ მდივანთან და ეს თითქმის ორსაათიანი საუბარი იქცა იმ პოლიტიკურ ლაკმუსის ქაღალდად, რომელმაც უკვე აშკარად გამოკვეთა კონკრეტული სიტუაციის შემდგომი პოლიტიკური ტენდენცია და, პრინციპში, ჩვენთვის ყველაზე საჭირო მომენტში განაპირობა გაეროს ამ რეზოლუციის მიღება. ამ შეხვედრამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მოვლენათა ჩვენს სასიკეთოდ განვითარებაზე.

დასარჩენი უკვე, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე გახლდათ. საჭირო იყო უშიშროების საბჭოს წევრებთან პრობლემის ჩვენეული ხედვის ეფექტიანი მიტანა. საბედნიეროდ, მოსალოდნელმა შედეგმაც აღარ დააყოვნა.

უკვე არსებობს ბატონ ბუტროს ბუტროს გალის ორი გეგმა, განხილული „საქართველოს მეგობარი ქვეყნების“ ჯგუფთან ერთად, გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის ბატონ ედუარდ ბრუნერის მონაწილეობით.

პირველი გეგმა გაეროს ტრადიციულ სამშვიდობო ოპერაციას გულისხმობს — მის კონტროლს დაქვემდებარებული 2500 „ცისფერი მუზარადი“ ჯერ გალის, მდინარეების ენგურისა და ფსოუს მიდამოებში, შემდეგ კი სხვა რეგიონებშიც ჩადგება, კონკრეტული მიზნით: მხარეთა დაშორიშორება, უკანონო სამხედრო ფორმირებების განიარაღება, და, რაც მთავარია, ხიზანთა უპირობო დაბრუნებისათვის უსაფრთხოების მტკიცე საგარანტიო მექანიზმების შემუშავება. მეორე გეგმა იგივე ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სამშვიდობო ფუნქციებს დაინტერესებულ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები განახორციელებენ, ხოლო მონიტორინგსა და კონტროლს გაეროს ამ შემთხვევაში, უკვე 200 კაცამდე გაზრდილი მეთვალყურეთა მისია იკისრებს. თუმცა, ამ ორი გეგმის ერთი ხელის მოსმით რეალობად ქცევა, შეუძლებელია. სამშვიდობო ძალების ამოქმედება ურთულესი პროცესი გახლავთ. მისთვის მზადება სულ ცოტა 6 თვეს მოიცავს, რადგან ამ პერიოდში უნდა დამუშავდეს კონკრეტული გეგმა თუ რომელი ქვეყანა, და რა რაოდენობით მიიღებს მონაწილეობას სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებაში, უნდა გადაწყდეს ტექნიკური საკითხები, აგრეთვე ფინანსების პრობლემაც, სხვადასხვა ქვეყნის სურვილთან და მზადყოფნასთან ერთად გაეროს ეგიდით აამოქმედონ თავისი ჯარები.

გაეროში ჩვენი შეხვედრების დროს გამოითქვა იმავდროულად აზრიც და რჩევაც, რომ დასაწყისში სწორი იქნებოდა, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კონფლიქტის ზონაში რუსული ჯარების შეყვანა. მოგვიანებით კი ამ ძალებს სხვა სახელმწიფოთა ჯარებიც უნდა შეუერთდნენ.

გაერო საგანგებო ყურადღებით უყურებს სამშვიდობო ძალებში რუსეთის მონაწილეობას. რუსეთის წარმომადგენელმა ბატონმა ვორონცოვმა უშიშროების საბჭოს სხდომაზე პირდაპირ განაცხადა, რომ დაუშვებელია შეიარაღებული კონფრონტაციის გზით საზღვრების ცვლილება, ხოლო, რაც შეეხება შესაძლო რეფერენდუმს და მის შედეგებს, ამაზე საუბარი ხიზანთა დაბრუნებისა და მოსახლეობის პირვანდელი სახით აღდგენის შემდეგ თუა შესაძლებელი.

— ბატონო მინისტრო, გაეროს ასეთი ყურადღება ქართველი საზოგადოებრიობისათვის უცხო ხილი არ არის. ალბათ, არ არსებობს ერთ ქვეყანასთან დაკავშირებით ამდენი რეზოლუციის მიღების პრეცედენტიც. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ უკანასკნელის შესაძლო პრაქტიკულ შედეგებზე?

— თუკი ყურად ვიღებთ რეალობას, დღევანდელობას პოლიტიკურ სინამდვილეს, ნებისმიერ საკითხის გადაწყვეტა პოლიტიკურ საფუძველს საჭიროებს და ეს რეზოლუციაც ამგვარ საფუძველს ქმნის.

ამ რეზოლუციის მიღების შემდეგ უნდა დაიწყოს სამშვიდობო [illegible]

კვლავ გაესვა ხაზი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ეს მაშინ, როცა, გუდაუთის დაჯგუფება რეფერენდუმის გამართვას აპირებს.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა შესაძლებელია საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის პირობებში.

რეზოლუციაში პირველად აღინიშნა, და რაც მთავარია, დაწინაურდა, ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული პრობლემა — ხიზნები. მე-11, მე-12 მუხლებში აღიარებულია ყველა დევნილის უსაფრთხო დაბრუნების უფლება ყოველგვარი წინაპირობის დაუთქმელად. მხარეებმა უნდა დაიცვან ნაკისრი ვალდებულებები და დაუყოვნებლივ ჩამოყალიბდეს დაბრუნების გრაფიკი. რეზოლუცია მკაცრად გმობს დემოგრაფიული სურათის შეცვლის ცდებს, მათ შორის, კონფლიქტის შემდეგ იქ უცხო პირთა უკანონო ჩასახლების გზითაც. ბუნებრივია, ეს ორი მუხლი პოლიტიკური თვალსაზრისით მაქსიმალურად ედება სალბუნად ჩვენს ტკივილსა და პრობლემებს. ერთი სიტყვით, მისია წარმატებით დასრულდა.

— თავად პერიპეტიები როგორ მიმდინარეობდა?

— უშიშროების საბჭოს სხდომა 31 იანვარს, საღამოს ხუთის ნახევარზე დაიწყო. სიტყვით გამოვიდა გაეროში საქართველოს წარმომადგენელი ბატონი პეტრე ჩხეიძე. კვლავ და კვლავ აღინიშნა, რომ ხიზანთა დაუყოვნებლივი და უპირობო დაბრუნება საკუთარ მიწაზე კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების ქვაკუთხედია, ხოლო ამ საკითხის გადაწყვეტის დაყოვნება ახალ უბედურებათა და აფეთქებათა გასაღები. ამას მოჰყვა ბატონ ოლეგ [illegible] დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპის გარანტიები.

საგანგებო გახლდათ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის სერ დევიდ ჰენეის განცხადება, რომელშიც ხიზანთა სწრაფი და უპირობო დაბრუნება და ამ საკითხში თანამშრომლობა კონფლიქტის მოგვარების პრიორიტეტული მნიშვნელობის ამოცანად, აფხაზთა კეთილი ნების სასინჯ ქვად და ფართო პოლიტიკურ საკითხებზე შეთანხმების მიღწევის პერსპექტივის აუცილებელ წინაპირობად ჩამოყალიბდა.

შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ქალბატონმა მადლენ ოლბრაითმა განაცხადა: „ჩემი მთავრობა მხარს არ დაუჭერს და კატეგორიული წინააღმდეგია სანახევროდ განხორციელებული ნებისმიერი ზომისა, რადგან ეს დევნილთა მიმართ ნაკისრი ვალდებულებების თავიდან აცილებას ნიშნავს“. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის განცხადება, რაც სხვათა შორის, ლიტონი სიტყვები არ გახლავთ, და ამერიკის მთავრობის ოფიციალური პოზიციაა, კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა კატეგორიულად არ დაუშვებს საზღვრების გადასინჯვის არანაირ პრეცედენტს. ამგვარი განწყობილება საერთოდ დომინირებდა გამოსვლათა უმრავლესობაში. ეს კი თავისთავად ნათელს ხდის, რომ სეპარატისტთა მონდომება დასაბამიდანვე განწირული.

აფხაზეთის დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლის მცდელობა დაგმეს საფრანგეთისა და ესპანეთის წარმომადგენლებმა ბატონებმა ჟან ბერნარ მერიმემ და ხუან ანტონიო იანეს-ბარნუევომ.

სხდომის თავმჯდომარემ, ჩეხეთის წარმომადგენელმა ბატონმა კარელ კოვანდამ დაგმო აფხაზთა მიერ ქართველების წინააღმდეგ მოწყობილი ეთნიკური წმენდა, საეჭვოდ მიიჩნია ნებისმიერი რეფერენდუმი იმ მხარის ინიციატივით, რომელიც უმცირესობა გახლდათ რეგიონში და კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის უზენაესობაზე.

რეზოლუცია ერთხმად მიიღეს.

ასე რომ, მსოფლიოს დამოკიდებულება აფხაზეთის კონფლიქტთან კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რამაც გუდაუთის დაჯგუფება უნდა დააფიქროს. ამასთან ერთად, ფრიად მნიშვნელოვანი გახლავთ რუსეთის ფედერაციის პოზიციაც, ფაქტია, რომ აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებული კონკრეტული პოლიტიკური რეალობების პალიტრა ახალი, თანაც, პოზიტიური ფერებით ივსება, უპირველესად ყოვლისა, სწორედ რუსეთის ფედერაციის დამოკიდებულებათა თვალსაზრისით. სხვათა შორის, ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი ბატონ ბორის ელცინის ოფიციალურმა ვიზიტმა საქართველოს რესპუბლიკაში, რაც ყველაზე მთავარია, გამოიკვეთა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი, სასიკეთო ტენდენცია. ვგულისხმობ ორი სახელმწიფოს დამოკიდებულებათა ერთიანობას, როგორც გლობალურ საკითხებთან, ისე კონკრეტულად აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით. მაგრამ, შეუიარაღებელი თვალითაც კი აშკარად ჩანს, რომ პოლიტიკური მოწესრიგებისა და საბოლოო მშვიდობის მიღწევის პროცესი იოლი არ იქნება. უამრავი რამ არის დამოკიდებული მოვლენათა შემდგომ განვითარებასა და ჟენევაში დაწყებულ მოლაპარაკებებზე. უმთავრესი კი ის გახლავთ, რომ ჩვენ სწორი გზით მივდივართ. თანდათან იკვეთება რუსეთის ფედერაციის აშკარა ინტერესიც ერთიანი, განუყოფელი საქართველოს თვალსაზრისით. ასე რომ, ყველაფერი მაინც ჩვენს სწორ პოლიტიკურ ნაბიჯებზეა დამოკიდებული.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის თურქეთში ამასწინანდელი ვიზიტის შედეგები, ანკარაში ხელმოწერილი პოლიტიკური დოკუმენტები, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შეთანხმებანი [illegible], რომელიც მიზნად ისახავს ორი მეზობელი ქვეყნის [illegible]ზობლობასა და თანამშრომლობას, კვლავ ჩვენი [illegible] ყურადღების ცენტრშია.

საქართველოს დელეგაციაში იყო აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე.

— ამთავითვე გეტყვით, — თქვა ბატონმა ასლანმა, — რომ ამ პირველი ოფიციალური ვიზიტით დაიწყო ახალი ეტაპი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ურთიერთობებში, ეტაპი, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება სერიოზული პრაქტიკული შედეგები.

რაც შეეხება ისტორიას... მოგეხსენებათ, საუკუნეების მანძილზე როგორი ურთულესი ურთიერთობა არსებობდა ჩვენს ქვეყნებს შორის. აქ ბნელი უფრო სჭარბობდა ნათელს, მაგრამ შეიცვალა დრო... დღეს ყველას გვახარებს ის, რომ დაიწყო ამ ურთიერთობების მკვეთრი შემობრუნება, რომლის პრაქტიკული გამოხატულება იყო დამოუკიდებელ საქართველოში თურქეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის (მაშინდელი პრემიერ-მინისტრის) სულეიმან დემირელის ვიზიტი, ის იყო პირველი, რომელმაც ხმამაღლა გამოაცხადა: „საქართველოსა და თურქეთს არა მარტო მეგობრული, არამედ ძმური ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ“.

ამას მოჰყვა საქართველოსათვის გამოყოფილი 50 მილიონი დოლარის კრედიტი, ხორბალი, ჰუმანური დახმარებები და სხვა. თურქეთი იყო პირველი, ვინც დახმარების ხელი გამოგვიწოდა.

მე არ შევუდგები იმის აღწერას, თუ რა გრანდიოზული შეხვედრა ჰქონდა ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს თურქეთში, ამაზე საკმაოდ ითქვა და დაიწერა. შევეცდები გამოვყო რამდენიმე დამახასიათებელი შტრიხი.

ეთა კავშირის თანადგომის შესახებ, კიდევ ერთხელ გაცხადდა თქვენი პოზიცია...

— მე ის კაცი არა ვარ, რომელიც ყოველდღე გაჰკივის ამას, ადრეც რამდენჯერ მითქვამს: სახელმწიფოს მეთაურს ისეთი ერთგული თანამზრახველები სჭირდება, ვინც სიტყვით კი არა, საქმით დაუდგება მხარში. ჩვენც და აჭარის მთელი მოსახლეობაც ამჟამად ყველაფერს ვაკეთებდით ამისათვის. ჩვენს ამასწინანდელ ინტერვიუში სათანადო დოკუმენტური მასალებიც კი გავაცანით მკითხველებს, მაგრამ ეს როდია მთავარი. მთავარია როგორ ვუშველოთ ქვეყანას, როგორ წამოვაყენოთ ფეხზე ქვეყნის ეკონომიკა, როგორ განვაახლოთ აღმშენებლობითი პროცესი. სწორედ ამას ვისახავდით მიზნად, როცა ორი წლის წინათ შევქმენით „აჭარის აღორძინების კავშირი“ დევიზით — „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, თურქეთთან ურთიერთობის ახალი ეტაპის დაწყება კი მნიშვნელოვან პერსპექტივას უსახავს საქართველოს, აჭარას, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ამ სახელმწიფოს.

ამასთან, ანგარიშგასაწევია, ისიც, რომ თურქეთში ბევრი ჩვენი თანამოძმე, ახლობელი ნათესავი ცხოვრობს და მოღვაწეობს. იმ ორი დღის მანძილზე, რომელიც ანკარაში დავყავით, მთელი ჩვენი დიასპორა ლამის არის დასახლდა ჩვენს სასტუმროში, უნდა გენახათ, როგორი აღფრთოვანებით, თანადგ-

საერთოდ, ერთ
გადაწყვეტამდი ხაზ
ბიზნესის, როგორც სახელ
ოს მეთაურს
[illegible]
ჩვენს სპეციალისტებს.
ეს კი იმას ნიშნავს, რომ
კლია ინფორმაცია, არ ვი
რა ხდება ცივილიზებულ
ყაროს ამა თუ იმ დარგში.
— შარშან, ზაფხულს, ინ
ხსა და ევროპაში მოგზაურ
ბიდან რომ დაბრუნდით, რამ
ნიმე თქვენი გადაწყვეტილება
აუქმით.
— მოდი და ნუ გაიკვირ
ცა დარწმუნდები, რომ
რაქტი არახელსაყრელია.
ვაღიაროთ, რომ საბაზრო
ნომიკის სიღრმეებსა და ნი
სებს. ჯერ სრულყოფილად
ვფლობთ, ამიტომაც ყველაფ
უნდა გავაკეთოთ იმისათვის,
რაც შეიძლება დროულად
ვამზადოთ სათანადო (კომ
ალიფიციური კადრები.
სხვისა არ ვიცი და ახლა
ხოლო ბიზნესმენს რომ
ბრები, რაღაც საფრთხის
გრძნობა არ მასვენებს, რად
ვიცი, რომ ნამდვილი პროფე
ნალი ცდილობს მოლაპარა
წარმართოს მისთვის სასარ
ლო არხით. თუ არაკომპეტე
ური ხარ და არ ფლობ თა
მედროვე ინფორმაციას, მაშინ
ჯერჯერობით, ჩვენი ბიზნეს
ების უმეტესობამ ისიც კი
იცის, როგორ ესაუბროს
ოელებს, რომ სასურველ
რიგებს მიაღწიოს. ასე
პრობლემები გვექნება,
საბაზრო ეკონომიკის ამ
რთულ ლაბირინთებს თვა
არ გავივლით.
— ცნობილია, რომ ყოველ
გზაურობასა თუ ვიზიტს,
ციალურ დიპლომატიურ შე
დრებთან ერთად, ზოგჯერ
მდგომ სასიამოვნოდ გასახს
ბელი მოვლენებიც ახლავს თ
მე...
— ცხადია, ჯერ სასიამო
მოგონებით დავიწყებ. მო

კულუარები

„სად არის ასლანი?!“

შევარდნაძე რომ უდიდესი პოპულარობითა და პატივისცემით სარგებლობს თურქეთში, ეს ჯერ კიდევ თვითმფრინავში ვიგრძენით, როცა ანკარის დაფრენამდე ნახევარი საათით ადრე ჩვენს თვითმფრინავს მხარში ამოუდგა საპატიო ესკორტი — თურქეთის საჰაერო ძალების ოთხი „ფანტომი“, რომლებმაც მიგვაცილეს ანკარის აეროდრომამდე. შთამბეჭდავი სანახაობა იყო.

მანამდე კი... ჩვენ, აჭარის მოსახლეობამ და ხელმძღვანელობამ, დიდ დაფასებად და პატივისცემად აღვიქვით ის ფაქტი, როცა სახელმწიფოს მეთაურის თვითმფრინავმა მნიშვნელოვნად შეცვალა მარშრუტი იმისათვის, რომ დამჯდარიყო ბათუმში და აჭარის დელეგაცია შეერთებოდა. საერთოდ, ეს ფაქტიც, უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს მომავალში და შევეცდებით ამ დაფასებას შესაბამისი [illegible] ჰქონდეს.

უფრო ადრე, ასევე ბათუმის გავლით, თურქეთს გაემგზავრა ე. წ. „სამუშაო ჯგუფი“ ბატონ ზურაბ კვარაცხელიას მეთაურობით, ბათუმში ერთად გადავხედეთ პროგრამებს, რომლებშიც ჩვენი წინადადებებიც გათვალისწინეთ. მაგალითად, ბინათმშენებლობის პროექტში ჩაერთო ბათუმიც, რომელიც საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. ამას, ცხადია, დიდი პოლიტიკური დატვირთვაც აქვს, რადგანაც, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა სახელმწიფო საზღვრიდან, ამ შემთხვევაში, სარფიდან, ბათუმიდან იწყება... ეს ფაქტორი, კი მეტად მნიშვნელოვანია.

გრანდიოზული და შთამბეჭდავი იყო ბატონ ედუარდის პატივსაცემად თურქეთის პრეზიდენტის სასახლის წინ გამართული დიდი საზეიმო ცერემონიალი, რომელიც ნათლად დასტური იყო იმ პატივისა, რომელიც მასპინძლებმა ამ გამოჩენილ პოლიტიკოსს მიაგეს... განა ასევე არ იყო გერმანიაში, ჩინეთში, სხვაგან? ვუყურებდით ამას და სიამაყესთან ერთად დიდ სინანულსაც ვგრძნობდი. ჩემდაუნებურად ვფიქრობდი: რა უცნაური და უმადური ხალხი ვართ ქართველები. დღესაც კი უცხოეთში ბევრი არ იცნობს საქართველოს, მაგრამ საკმარისია, ახსენო შევარდნაძის სახელი და... ყველაფერი, რომ იტყვიან, თავის ადგილზე დგება.

მაგრამ ვიყენებთ შევარდნაძის ფაქტორს? პირიქით, ლამის არის, ზოგიერთის პირადსა და პარტიულ ინტერესებს გადაეყოლოთ ის უდიდესი შესაძლებლობა, რომელიც დღეს საქართველოს აქვს. მაპატიონ უხერხული შედარება, მაგრამ ფეხბურთის გუნდიც კი, თუ უჭირს, წლებზე ფეხს იდგამს და ყიდულობს იმას, ვინც სათავეში ჩაუდგება და გაამარჯვებინებს. ჩვენ კი, ამ დიდი ფაქტორის გამოყენების ნაცვლად, ჯერჯერობით, მას ტკეპნით, უნდობლობის, შეურაცხყოფის, უმადურობის მეტი ვერაფერი გაუწიეთ. სამწუხაროდ, ასეა. შინაურ მოღვაწეს ჩვენში შენდობა არა აქვს... სხვებს ასეთი კაცი რომ ჰყავდეთ, ალბათ, აქამდე მსოფლიოს „ყორაზე დააყენებდნენ“, საკუთარ ქვეყნებსაც იდეამდე აქცევდნენ და პირად სიმპათიებსა და ანტიპათიებზე არ ააშენებდნენ სახელმწიფო პოლიტიკას.

გთხოვთ ეს ლირიკული გადახვევა ჩამითვალოთ.

— თქვენ ამასწინანდელი განცხადებით საქართველოს მოქალაქ- [illegible]

ომის, თანამშრომლობის როგორი სურვილით იყვნენ გამსჭვალულნი.

მათ შორის იყო ჩემი ახლობელი ნათესავი, პაპაჩემის დისწული, თურქეთის ცნობილი სამხედრო მოღვაწე, და მრავალი გენერალი ახმედ აჯარი. მას ამჟამად თურქეთის სამხედრო საამრეწველო კომპლექსში, რომელშიც სახალხო მეურნეობის სხვა წამყვანი დარგებიც შედის, ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი პოსტი უჭირავს. ადრე იგი რამდენჯერმე იყო ბათუმში და მთხოვა, სახელმწიფო მეთაურთან შემახვედრე, რაც ანკარაში შევასრულე. იგი ამჯერადაც საინტერესო პროექტებით და წინადადებებით მოვიდა ჩვენთან.

არც ჩვენ წავსულვართ ხელცარიელი. წავიღეთ რამდენიმე საინტერესო პროექტი. გვინდა ავაშენოთ დიდი სიმძლავრის ფოსფატ-კომბინატი, მაღლივი ნაგებობების კომპლექსი, ელექტროსადგური, რომელიც ორივე მხარეს მიაწვდის ელექტროენერგიას, ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის ბაზაზე ვგეგმავთ ერთობლივი გემთმშენებლობას, რომელიც „მდინარე-ზღვის“ ტიპის გემებს გამოუშვებს. ეს, ჩემი აზრით, გააძლიერებს, სიმაღლეზე აიყვანს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს.

ჩვენი დელეგაციის ვიზიტის დროს მთხოვეს რამდენიმე დღით დავრჩენილიყავი თურქეთში და საკუთარი თვალით მენახა ქარხნები, რომელთა აშენებაზეც უკვე გვაქვს ხელშეკრულებები იქაურ ფირმებთან. ეს ითვალისწინებს სამკერვალო ფაბრიკისა და ხის გადამამუშავებელი ერთობლივი საწარმოების აშენებას, და ამუშავებას.

ალბათ, წლეულს, პირველსავე კვარტალში გამოიკვეთება, თუ პრაქტიკულად როგორ შევასხამთ ხორცს ამ ხელშეკრულებებს.

— ათწლეულების მანძილზე, ყოველთვის მზამზარეულსა და ხონჩით მორთმეულს ველოდით. ალბათ, ამან გვიყო ის, რაც დღეს გვჭირს — ინერტულობა, გულგრილობა, უინიციატივობა და კიდევ ბევრი სხვა რამ...

— მართალი ბრძანდებით... ასე იყო, მაგრამ აღარ უნდა იყოს ასე... თურქეთში ჩვენი სამთავრობო დელეგაციის ყოფნის დროს, ხელმოწერილი ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის მთელი პაკეტი გზას უხსნის ყველას. ახლა უკვე ჩვენი ბიზნესმენების, საქმიანი წრეების გერგილიანობაზე იქნება დამოკიდებული რამდენად გამოვიყენებთ ამ შესაძლებლობას ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ, როგორ მოვამზადებთ ახალ პროექტებს, როგორ განვახორციელებთ მათ. ასე რომ, თითოეულმა სამინისტრომ, ფირმამ თუ ორგანიზაციამ აქედანვე უნდა იზრუნოს ისეთი პროექტების შექმნაზე, რომლებიც [illegible] ერთად ქვეყნის ინტერესებსაც გაითვალისწინებს.

პროექტების მომზადება კი არც ისე იოლი საქმეა... ამას წინ უნდა უძღოდეს დიდი მოსამზადებელი სამუშაო. გვჭირდება გამოცდილი, საქმის მცოდნე სპეციალისტები, რომლებიც, სამწუხაროდ, ძალზე ცოტა გვყავს. ამიტომ უნდა მოვიწვიოთ ისინი უცხოეთიდან, რაშიც ისევ და ისევ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის დიდი ავტორიტეტი უნდა გამოვიყენოთ. მას არავინ ეტყვის უარს, ხოლო მისი მოთხოვნით, მოწვეულ სპეციალისტს შეგვიძლია ყოველთვის ვენდოთ და დავეყრდნოთ.

ისე, რომ ერთ-ერთი მო
დროს თურქეთის პრემიერ-
ისტრს თანსუ ჩილერსა და პ
ზიდენტ დემირელის მე
შორის აღმოვჩნდი. უკეთეს
საძლებლობას ვერც ინატ
კაცი. რამდენიმე საათის გა
ვლობაში, რომ იტყვიან, პრ
ერ-მინისტრს „გადმოვუღ
ყველა ის პრობლემა, რომლ
გადაწყვეტასაც ვცდილობთ.
საუბრი მომავალ პროექტებ
წინადადებებზე. ქალბატონი
ლერი ისე დაინტერესდა, რომ
ვე სუფრასთან მოიწვია თა
აპარატის ხელმძღვანელი მ
ქები, მინისტრები და კონკ
ტული დავალებები მისცა,
იმას ითვალისწინებს, რომ
ქი კოლეგები ჩვენს სპეცი
ტებთან ერთად მოამზადებენ
საბამის პროექტებსა და
დადებებს, რომლებსაც პრემ
მინისტრს წარუდგენენ. ქა
ტონი ჩილერი იმასაც დაჰპი
პირადად შეისწავლის ამ
ექტებს და წლეულს, გა
ხულზე, ჩამოვა საქართველ
და აჭარასაც ეწვევა. ასეთია
სი სურვილი. საქართველოს
იგი ძალზე თბილად არის
წყობილი, ისე როგორც პრე
დენტი და მისი მეუღლე.
„კაზუსები“ კი იმით და
რომ ჩასვლისთანავე ჩემი
თურქეთის დროზე დააყენ
ამის გამო ერთი საათით
ვიანე. ბატონი ედუარდი კი
ზიდენციაში მელოდებოდა.
გამოც ხელმოწერის ცერე
ალი შეყოვნდა. ელდა
ცხადია, მაშინვე მივხვდი,
მოხდა, მაგრამ რაღას ვიზ
ერთიც იყო. ამ ვიზიტის
რატომღაც ისე ხდებოდა,
ბატონი ედუარდი სულ
ძებნაში იყო — სად არის
ნი, სად არის ასლანი? —
ეს მესმოდა.
რა ვიცი, ვინც მიცნობს
რგად იცის, არც სიარული
ირს და არც სირბილი, მა
ჩვენი სახელმწიფოს მეთ
ისე სწრაფად დადის, ვერ
ოდი და ხშირად ჩამოვრჩე
ხოლმე. სახელმწიფოს მ
რის სიარულის სწრაფი
ჯერ კიდევ ჩვენთან, მა
მთიან ხულოში ყოფნისას
ვამჩნიე. იქ მან ფეხიც
მაგრამ მაინც ვერ ვაწიო
ფიქრი, ამ ხალიჩებით მო
დერეფნებში ეგებ ცოტა
იაროს-მეთქი, მაგრამ თქვენ
მომიკვდით...
„სად არის ასლანი?“ —
ოდა ბატონი ედუარდი
ლეგაციის წევრები, დაცვი
შაკები, რომლებიც ზოგჯერ
არღვევდნენ ე. წ. „პროტ
ლის“ ნორმებს, ხელოვნურ
რეფანს მიქმნიდნენ და
ვცდილობდი, დავეწიო,
უნდა დამეგვიანა ან ჩამ
ნოდი, ის მაინც მისთვის
ღიმილით მხვდებოდა.
უნდა ითქვას, ერთი სა
რიც არ უთქვამს. მე კი
ლური მერჩივნა, რადგანაც
დად ჩემთვის ასეთ დროს
ღიმება უფრო მეტ სასჯელ
მაჩნია.
ვიზიტი დამთავრდა.
ილები ვბრუნდებოდით თუ
სტუმართმოყვარე მიწა-წყ
თან მოგვქონდა დიდი იმ
რწმენა იმისა, რომ საქართ
სა და თურქეთს შორის
აც დაიწყება ეტაპი დი
ობრუნებისა, ძმობისა, ეტაპ
მელიც დიდ სიკეთეს მო
ჩვენს ხალხებს და სა
ლოს.

ესაუბრა

გია მე
„ხრ“ საკ

ქ. ბათუმი.

აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს

ბატონო თამაზ!

შარშან პარლამენტის პირველ სხდომებზე იდგა საკითხი, როგორი უნდა იყოს ადამიანის სახელისა და გვარის სიობრივი დასახელება. მე ეხლაც ვერ ვხვდები, მიმაჩნდა და ახლაც ასე მიმაჩნია: გამყრელიძე თამაზი, კვაჭანტირაძე თამაზი და არა გამყრელიძე თამაზ, კვაჭანტირაძე თამაზ, თუ სახელი პირველ ადგილზე გადმოვა, მაშინ ასე: თამაზ გამყრელიძე, თამაზ კვაჭანტირაძე, ვახტანგ გოგუაძე და ა. შ. ყოველ შემთხვევაში, სიობრივი დასახელებისას [სახელის წოდებითის ფორმას სჯობს სახელობითი. ჩვეულებრივი ბრუნების წესი ასეთია:

თამაზი
თამაზმა
თამაზს
თამაზის
თამაზით
თამაზად
თამაზ

კიდევ კარგი რომ ფუძეხმოვანებზე არ ვრცელდება, თორემ ამოვიკითხავდით ასე: წერეთელი აკაკ, წერეთელ ირაკლ...

ბატონო თამაზ, თქვენ როგორც დიდ ენათმეცნიერს, გთხოვთ მცირე განმარტებას.

ვახტანგ გოგუაძე,
ფილოლოგი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სარედაქციო ფოსტა

ჩვენს „კეთილმოსურნეებს“

რამდენიმე თვეა, თბილისში მოზანდახანებულად ავრცელებენ ხმებს, რუსეთში საქართველოს საელჩოს უმოქმედობაზე, ლამის დამკვიდრდა ეს აზრი იმათ შორის, ვინც არ იცის რეალური ვითარება. მათი მოქმედების პრინციპია: ათასმეტჯერ ნათქვამი სიცრუე უფრო დამაჯერებელი ხდება, ვიდრე ერთხელ ნათქვამი ჭეშმარიტება, ავიწყდებათ, რომ ეს უკანასკნელი უფრო ბასრი იარაღია, ვიდრე სიცრუე.

საელჩოს მუშაობას აქვს, ასე ვთქვათ, დახურული, უხილავი ნაწილი, რომელიც აისბერგის მსგავსად ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ხილული ნაწილი. იმის შესახებ, აქ არაფერს ვიტყვი, დიპლომატიურ მუშაობას აფიშირება არ უყვარს. საქმემ უნდა გამოაჩინოს იგი.

უმთავრესი საქმე კი, რაც დღემდე საელჩოს მოღვაწეობის უპირველეს ამოცანას შეადგენდა, გახლდათ: ორ სუვერენულ სახელმწიფოს — საქართველოსა და რუსეთს — შორის დაიდო მთავარი ხელშეკრულებები, შეიქმნა იურიდიული ბაზა მათი თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისათვის. ეს არის ისტორიული მოვლენა საქართველოს ცხოვრებაში, ჩვენმა საელჩომ თავისი წვლილი შეიტანა ამ საქმეში.

ახლა ჩვენი საელჩოს და პირადად ჩემი, როგორც ელჩის მუშაობის ხილულ ნაწილზე ვისაუბრებ. უფრო მეტი სიცხადისათვის ზოგიერთ შედარებას მოვიყვან:

მოსკოვში ამჟამად აკრედიტებულია 166 ქვეყნის ელჩი. გადაჭრით ვაცხადებ, რომ მათ ყველას ერთად ბოლო 10 თვის მანძილზე არ გაუმართავთ იმდენი პრესკონფერენცია, რამდენიც საქართველოს ელჩმა და საელჩომ გამართა, ინფორმაციის საშუალებებისათვის არ მიუციათ იმდენი ინტერვიუ, რამდენიც საქართველოს ელჩმა და საელჩოს თანამშრომლებმა. 166 ელჩი ყველა ერთად იმდენჯერ არ გამოჩენილა, რუსეთის ტელეეკრანებზე, რამდენჯერაც საქართველოს ელჩი, ერთად აღნიშნულ საელჩოებს არ გაუკეთებიათ იმდენი განცხადება ინფორმაციის საშუალებებისათვის და არ გაუგზავნიათ იმდენი ნოტა (სიტყვიერი თუ წერილობითი) რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის, რამდენიც საქართველოს საელჩომ ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე.

თავისი ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური და სხვა საკითხების განხილვისათვის არც ერთი სხვა ელჩი იმდენჯერ არ დაკავშირებია, მოლაპარაკება და საუბარი არ გაუმართავს რუსეთისა და მოსკოვის ხელისუფლებასთან: ელცინთან, ჩერნომირდინთან, სოსკოვეცთან, შოხინთან, შახრაითან, კოზირევთან, გრაჩოვთან, კოლესნიკოვთან, გრომოვთან, ლუჟკოვთან, რუსეთის ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრებთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვა პასუხისმგებელ მუშაკებთან, რამდენჯერაც საქართველოს ელჩს.

არც ერთ სხვა ელჩსა და საელჩოს დიპლომატებს მოსკოვში არ ჰქონიათ იმდენი შეხვედრა და საუბარი სხვა ქვეყნების ელჩებთან, (მათ შორის 7 დიდი ქვეყნის ელჩებთან) და საელჩოების დიპლომატებთან თავიანთი სახელმწიფოს პოზიციების განმარტებისათვის, რამდენიც ჰქონდა საქართველოს ელჩსა და საელჩოს დიპლომატებს.

ის გახლავთ ჭეშმარიტება

და რა არის ყოველივე ის თუ არა ჩვენი დიპლომატიური აქტიურობა?

ახლა სხვა ხასიათის მუშაობას შევეხოთ.

არც ერთ სხვა საელჩოს არ უწევს ქვეყნის სამიგრაციო საკითხებზე იმდენი ზრუნვა, რამდენიც საქართველოს საელჩოს. არც ერთ სხვა (მათ შორის „დსთ“) ქვეყნის საელჩოს და ელჩს არ მიუღია და გაუსტუმრებია იმდენი ოფიციალური, საქმიანი, არაოფიციალური თუ უსაქმო დელეგაცია, საქმიანი და უსაქმო თანამდებობის პირი, პარლამენტარი, უფრო დაბალი თანამდებობის პირი, რიგითი მოქალაქე — ჩვენი თანამემამულე (როგორც წინა, წინასწარ შეუთანხმებლად, ექსპრომტად ჩამოსული მოსკოვში), რამდენიც საქართველოს ელჩსა და საელჩოს.

166 ქვეყნის ელჩებსა და საელჩოების დიპლომატებს ერთად აღებულთ არ მიუღიათ იმდენი ლტოლვილი, რამდენიც საქართველოს საელჩოს, იმდენი მოსკოვს ჩამოსული და მოსკოვის გავლით სხვა ქვეყნებში მომავალი თანამემამულე, რამდენიც ჩვენი საელჩოს და არ შეხვედრიათ იმდენი ნერვების წყვეტა, რამდენიც ჩვენი საელჩოს მუშაკებს.

ისიც ჭეშმარიტებაა!

და ყოველივე ამის შემდეგ, განა ის, ვისაც ელემენტარული ადამიანური სინდისი შერჩენია, შეიძლება აცხადებდეს ლიტონი სიტყვებით საქართველოს მოსკოვში არ აქვს საელჩო, არ ჰყავს ელჩიო?

ახლა ვნახოთ, რა პირობებში უწევს საელჩოს და მის თანამშრომელთა მუშაობა.

მოსკოვში 166 საელჩოს შორის არ მოიძებნება ისეთი მატერიალური, ფინანსური და ტექნიკური აღჭურვილობის მიხედვით ცუდ, ღატაკურ პირობებში მყოფი საელჩო, როგორიც საქართველოს საელჩოა. მთელ წელიწადს საელჩო მოწყალებით ცხოვრობდა.

მოსკოვში საქართველოს საელჩო ფაქტობრივად საელჩოთა საელჩოა ჩვენი ქვეყნისათვის რუსეთის მნიშვნელობის გამო. აქ წყდება დამოუკიდებელი საქართველოს სასიცოცხლო საკითხები. საელჩოს თანამშრომელთა დატვირთვაც მრავალჯერ აღემატება ნებისმიერ სხვა ქვეყანაში საქართველოს საელჩოს თანამშრომელთა დატვირთვას, ხოლო მოსკოვს, საყოველთაო აღიარებით, პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში ცხოვრების ძვირბულების მიხედვით. აქ ყველაზე ძვირია ცხოვრება.

ამრიგად, საქართველოს მოსკოვის საელჩო თავისი მნიშვნელობით, სამუშაოს მოცულობითა და მოსკოვში ცხოვრების ძვირბულებით ყველაზე წინ არის.

ამის მიუხედავად, ჩვენმა მშობლიურმა მთავრობამ დააწესა მოსკოვის საელჩოს მუშაკების ხელფასის განაკვეთი, რომელიც 13-ჯერ, დიახ, არ გაიცდეთ, 13-ჯერ დაბალია, ვიდრე სხვა ნებისმიერ ქვეყანაში ქართველი დიპლომატებისათვის დაწესებული განაკვეთი.

თუ ყოველივე იმასაც დავუმატებთ, რომ 166 ქვეყნის ელჩებსა და საელჩოს დიპლომატებს ერთად აღებულთ არ ხვდებათ იმდენი ლანძღვა და გინება, რამდენიც საქართველოს ელჩსა და საელჩოს დიპლომატებს მოსკოვში, ყველასათვის ნათელი გახდება ჩვენი მუშაობის „დაფასება“.

ასეთები ვართ ქართველები!

ვფიქრობ, კმარა! ბოლოს და ბოლოს, სინდისიც კაი საქონელია!

ჩემმა თანამემამულეებმა ისიც არ გამიგონ, თითქოს ჩვენი საელჩო მოსკოვში იდეალურად მუშაობდეს. მას ბევრი ნაკლი აქვს და ამაზე მიგვითითებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, მიგვითითებს კეთილი განწყობითა და ნაკლოვანებების გამოსწორების სურვილით.

ჩვენს „მეგობრებს“ კი ვურჩევთ მიხვდნენ მარტივ ჭეშმარიტებას: შეწყვიტონ საელჩოსა და ელჩის ლანძღვა. თუ მართლა აწუხებთ მოსკოვში საქართველოს საელჩოს მუშაობა (და არა ელჩის სავარძელი), დაეხმარონ მას ფინანსურად, ტექნიკური აღჭურვილობით, თუ ეს არ შეუძლიათ, ჭკუა-დარიგებების (თუ აქვთ ამის უნარი) მაინც ნუ დაგვაკლებენ. სხვა მხრივ, არაფერი გამოუვათ, რადგან, ისინი, ვისზეც დამოკიდებულია საელჩოსა და მისი მუშაკების ბედი, არ უსმენენ [illegible], და ის არის ერთადერთი ბედნიერება ჩვენს ჯოჯოხეთურ მუშაობაში.

ვალერიან ადვაძე,
საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში.

ერთ ოჯახად ცხოვრება უნდა ვისწავლოთ

— როგორ აფასებთ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის ვიზიტს ჩვენს რესპუბლიკაში? აღდგება თუ არა ის სამეცნიერო კავშირები, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა? — ამ კითხვით მივმართეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რამდენიმე აკადემიკოსს.

ანდრია აფაქიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი: — რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის საქართველოში ჩამოსვლა უაღრესად უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენაა. მხედველობაში მაქვს ის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებმა. ამ ხელშეკრულების საფუძველზე სამშვიდობო უნდა დაფუძნდეს საქართველოში. განვითარების პერსპექტივები ესახება ძირძველი ტრადიციების მქონე ქართული და რუსული ინტელიგენციის ურთიერთობას.

ჩვენი ყველა სახელგანთქმული მეცნიერული სკოლის ფუძემდებლებს თავის დროზე განათლება მიღებული ჰქონდათ მოსკოვსა და პეტერბურგში, ან მოღვაწეობდნენ იქ. უმნიშვნელოვანესი ნაწილი ჩვენი აკადემიკოსებისა რუსეთის სამეცნიერო ცენტრებში არიან გაზრდილნი. ბოლო ხუთი წლის მანძილზე ეს ურთიერთობა უაღრესად შემცირდა. შეიძლება ითქვას, — შეწყდა. ვერ ხერხდება სამეცნიერო ცენტრებში ახალგაზრდა მეცნიერების, ასპირანტების გაგზავნა. ერთი კვირით მივლინება ინსტიტუტს ნახევარი მილიონი მანეთი უჯდება, ამის საშუალება კი არავის აქვს. შეწყდა რუსეთიდან პრეპარატებისა და რეაქტივების გამოგზავნა. კატასტროფულად შემცირდა სამეცნიერო ლიტერატურა. ახლა ჩვენში ლაბორატორიული ცდები იმ ნარჩენებით მიმდინარეობს, რომელიც ინსტიტუტებში ჯერ კიდევ შემორჩათ.

შენდება ახალი ურთიერთობა

ასეთ ვითარებაში 3 თებერვალს ბატონ ბორის ელცინის შეხვედრა ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან იმედის მომცემი იყო. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ის სიტყვები, როცა მან აღნიშნა, რომ 20 მილიარდი მანეთი, რომელიც გადაეცემა საქართველოს მივცეთ კრედიტით, მოხმარდება უპირველესად ყველაზე საჭირო სფეროებს, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საჭიროებებსაც.

გივი ხანაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი: — მოგეხსენებათ, ჩვენ ურთულეს ვითარებაში ვცხოვრობთ, ეს იქნება პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნეობრივი თუ კრიმინოგენური თვალსაზრისით. ხდება ყველაფერი ის, რაც რევოლუციურ, გარდამავალ მოვლენებს თან სდევს. ამ მოვლენებს ატანა და გაანალიზება სჭირდება. ეს კი შემდგომ მოხდება, როცა ჩვენი ქვეყნის ამ პერიოდის ისტორია დაიწერება.

რაც შეეხება სამეცნიერო კავშირების შეწყვეტას, ჩვენ, მეცნიერებს ეს კავშირები არ შეგვიწყვეტია, ოღონდ შესუსტდა. ამის მიზეზი კი ჩვენი ფინანსური მდგომარეობა გახლავთ. ვეღარ ვაწყობთ სამეცნიერო კონფერენციებს. იმის გამო, რომ ძალიან გაძვირდა როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო ტრანსპორტი, ვერც ჩვენ მივემგზავრებით იქ, სადაც მეცნიერთა ასეთი ფორუმები ეწყობა.

მიწერ-მოწერა ჩვენი დარგის მეცნიერებს ერთმანეთთან არ გაგვიწყვეტია. ინტერესები კვლავ საერთო გვაქვს. ოღონდ ამ კავშირების გაძლიერებაა საჭირო.

ამდენად, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ჩამოსვლას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესება პირდაპირ მოქმედებს ჩვენს ეკონომიკურ, ჩვენს სამეცნიერო ურთიერთობაზე.

დღეს ისეთ ვითარებაში ვცხოვრობთ, რომ ადრე ამის წარმოდგენა არც კი შეგვეძლო. მე მომწონს ერთი ცნობილი ფილოსოფოსის აზრი იმის თაობაზე, რომ თუ გვინდა კაცობრიობა გადარჩეს, ერთ ოჯახად ცხოვრება უნდა ისწავლოს. აქედან გამომდინარეობს ამ საკითხისადმი ჩემი მიდგომაც. რაც უფრო გაფართოვდება კავშირები სხვადასხვა ქვეყნის ხალხებს შორის, ცხოვრებაც უფრო უკეთესი იქნება.

ოთარ ნათიშვილი, აკადემიკოსი: — სამეცნიერო კავშირები რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ცენტრებთან ჩვენ არ გაგვიწყვეტია. ეს ურთიერთობა დღესაც გრძელდება, მაგრამ კომუნიკაციების გაძვირების გამო შესუსტდა. თუ ეს კავშირები არ აღდგა, ყველა თავის ჩარჩოში ჩაიკეტება და ეს კი, უპირველესად მეცნიერების განვითარებას მოუტანს ზიანს. რუსეთთან დადებული ხელშეკრულება იმედის მომცემად მესახება.

ჩაიწერა

ლარისა ხუბულურმა.

სარემონტო სამშენებლო ფირმა
«მოდინახე»
ასრულებს გარაჟების, საცხოვრებელი სახლების და შენობა-ნაგებობების ბრტყელი გადახურვების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს.
ჩვენი მისამართია: მ. წინამძღვრიშვილის ქ. №123/1
(ყოფილი კლ. ცეტკინის ქუჩა).
ტელ: 96-80-99.

მოვლენის კვალზე

იმათ შესახებ, ვინც იმ დღეს არ ჩანდა

ჩვენი ვიზავი და მასპინძელია საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე. ვსაუბრობთ.

პირველი თემა — [illegible] პრეზიდენტის ბორის ელცინის უშიშროების დაცვა 8 თებერვალს [illegible].

ადრე, ცოტა ხნის წინ, გენერალ გიორგაძეს სახელმწიფო საიდუმლოების გაცემად ჩაუთვლიდნენ ამ „წინდაუხედაობას", მის ინტერვიუერს კი უცხოეთის რომელიმე დაზვერვის სასარგებლოდ მუშაობას დააბრალებდნენ და ორივეს მშვიდობიან ვითარებაში სამშობლოს ღალატის მუხლით გაასამართლებდნენ. ასეთი თემებით დაინტერესება, სისტემის შიგნითაც კი, ისჯებოდა.

ახლა ვსაუბრობთ. საგაზეთოდ. გამოსაქვეყნებლად.

...ალი დრო დადგა-მეთქი, ამის ...ქა არ მინდა ამით. ძალიან მა...ტივი იქნებოდა.

...მართლა ახალი დრო დადგა, ...დგან საიდუმლო სამსახურის ...ალგაზრდა შეფი და, ვთქვათ ...ძველ დროს შებერებუ...ი ჟურნალისტი არა მარტო ბუ...ბრივ, არამედ აუცილებელ მო...თხოვნილებად, მეტიც, პროფესი...ონალურ საქმედ და მოვალეობად მი...იჩნევენ ამ საკითხისადმი საზო...გადოების ინტერესის დაკმაყოფი...ლებას.

...რუბიკონი გადალახულია. შინა...არსი.

...სახელმწიფო-იდეოლოგიური ...სტანდარტების წნეხი, რომელიც ...უდგამდნენ მსოფლმხედველობას ...სტატებს" პარაგრაფებში აკლა...ვდა, აქ, აზროვნებაში მოიც...ავდა, გაიწოვა.

ახალი, დეიდეოლოგიზებული ...აზროვნება „რევოლუციური ქარ...ტების" გარეშე ხდება ნორმა, ...ჩვეულებრივად, როგორც ნიად...აგზე მომზადებული წინამორბედ ფო...რმაციაში, და — არავითარი სასწა...ული.

...ალბათ...

— ბატონო იგორ, რატომ არ ჩანდა თქვენი სამსახური ვიზიტის დროს?

იგორ გიორგაძემ მიიღო თამა...შის შეთავაზებული წესი: მან ...შესანიშნავად იცის, რომ საიდუ...მლო სამსახურის უმაღლესი პრო...ფესიონალიზმი არის ის, როდე...საც თვალი არ ჩანს და არ ისმის, ...საქმეს კი აკეთებს.

...ესე იგი, მე ვუთხარი კომპლი...მენტი.

...ეგე ვითომ ვერ ხვდება ამას, ...რადგან ორივემ მკითხველზე უნ...და „ვიმუშაოთ". ჩემს შეკითხვას ...გამოიყენებს როგორც რეპლიკას ...მონოლოგისთვის და დაადასტუ...რებს, რომ მართლა არ ჩანდა ...უშიშროების სამსახური 8 თებე...რვალს (არც უნდა გამოჩენილი...ყო) და პრეზიდენტის უშიშროება ...აბსოლუტურად უზრუნველყო...ფილი იყო.

მაინც აზუსტებს შეკითხვას ...მის გაკეთება აუცილებელია სა...ქმეში ჩაუხედავთათვის).

— არ ჩანდა ფიზიკურად?

— დიახ.

— ნურავინ იტყვის, რომ მხო...ლოდ უშიშროების სამინისტროს ...ევალა ვიზიტის უშიშროების ...დაცვა. უპირველეს ყოვლისა, უნ...და დავასახელო შინაგან საქმეთა ...სამინისტრო, რომელმაც უდიდე...სი მოცულობის სამუშაო ჩაატა...რა მინისტრის და მისი მოადგილ...ეების ხელმძღვანელობით.

სამართალდამცავი სამინისტრ...ოების კოლექტივები ერთ, დიდ ...მექანიზმად გაერთიანებული უზ...რუნველყოფდა უსაფრთხოებას, ...ყველა ერთად, ყველა სამსახური. ...არ გიტყვით, რომ სირთულეე...ბი არ ახლდა ამ ვიზიტს. ჩვენც ...წინასწარ ვიცოდით და არც მალ...ავდა ზოგიერთი პოლიტიკური გა...ერთიანების ხელმძღვანელი და ...პარტიის ლიდერი, რომ აპირებდ...ნენ საპროტესტო აქციების მოწ...ყობას. რა თქმა უნდა, ასეთი ...მოქმედება საფრთხეს არ უქმნი...და სტუმრის სიცოცხლესა და ჯან...მრთელობას, ტერორისტულ აქტ...თან არ იყო დაკავშირებული, ...მაგრამ შეიძლებოდა გარკვეულად უარყოფითად ემოქმედა ვიზიტის შედეგებზე. ჩვენ კი ვიცით, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ვიზიტს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პერსპექტივისთვის.

— რუსეთის პრეზიდენტის უშიშროების სამსახურს, — **განაგრძობს ბატონი იგორი,** — აგრეთვე, დაცვის სამმართველოს, პროტოკოლის სამსახურს, ყველას ჰქონდა სრული ინფორმაცია, თუ რა რთული პოლიტიკური და კრიმინოგენული სიტუაციაა დღეს საქართველოში და, აქედან გამომდინარე, ელოდნენ კიდეც გარკვეულ ექსცესებს.

სწორედ მათ, ვინც ვახსენე, 3-ში საღამოს გაოცებულებმა განაცხადეს, რომ პრეზიდენტის გუნდში ყოფნისას 87 ვიზიტი ჩაატარეს, მათ შორის, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებშიც, და ასეთი უპრობლემო, ასე გარანტირებულად ორგანიზებული და განხორციელებული უშიშროება არსად ყოფილა.

თქვენი გაზეთის საშუალებით, მადლობა მინდა გადავუხადო შინაგან საქმეთა მინისტრს, მის კოლეგებს, ყველა პოლიციელს, ვინც მთელი დღის განმავლობაში ემსახურებოდა ვიზიტის უსაფრთხოებას.

ჩვენები კი არ ჩანდნენ და, იცით თქვენ, რომ ეს პროფესიონალიზმის ნიშანია...

— ამ დღეს, რა თქმა უნდა, მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა. მოსკოვში, გახსოვთ ალბათ, ამგვარ სიტუაციაში ყველა არაკეთილსაიმედოს აკრეფდნენ და ქალაქიდან გაასახლებდნენ. ხომ არ ყოფილა მსგავსი რამ ჩატარებული იმ პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ, ვინც აქციების ორგანიზებას აპირებდა?

— არავითარი ამგვარი ღონისძიება უშიშროების სამინისტროს არ ჩაუტარებია და, საერთოდ, მიდგომის კრიტერიუმები სულ სხვაგვარი იყო.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ჩვენი მოსახლეობა, რომელიც უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს, გენეტიკის დონეზე კოდირებული ტრადიციის ერთგული დარჩა — სტუმართმოყვარეობის ტრადიციის, თანაც, — აბსოლუტურად გულწრფელად, ძალდატანების გარეშე, ბუნებრივად. ყველგან, სადაც კი მივიდნენ რუსეთის პრეზიდენტი და ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი, ხალხი გულღიად, გულითადად ესალმებოდა, დიდი პატივისცემით ხვდებოდა.

უდიდესი მადლობა თბილისელებს. თუ არა ისინი, მათი განწყობა, საერთო ატმოსფერო, რომელიც ვიზიტის მთელ დღეს გასდევდა, შესაძლოა, არც ასეთი წარმატებული ყოფილიყო ეს დიდი საქმე, არც ასე საზეიმო. და არც ასე მშვიდი.

სწორედ ასეთი ვითარება გამორიცხავდა იმ ღონისძიებების ჩატარებას, რომლებიც თქვენ ახსენეთ და რომლებზეც ჩვენ დიდი ხანია უარი ვთქვით.

— და, მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის დაცვამ, ალბათ, ამ დონის ვიზიტის უშიშროებისთვის „შტატით გათვალისწინებული" ყველა ზომა მიიღო, ესებ, — დამატებითიც საქართველოში არსებული [illegible] მებრძოლებს [illegible] ლიკვიდაციისთვის. იყო ეს ცნობილი ჯგუფი „ალფა", თუ სხვა ქვედანაყოფი?

— რუსეთის მხარის მიერ ჩატარებული ღონისძიებები უფრო საკონსულტაციო-საკონტროლო ხასიათისა იყო, ანუ ისეთი, როგორიც საერთაშორისო პრაქტიკითაა მიღებული.

რა მაქვს მხედველობაში?

ჩვენ ვეუბნებით, რომ მაღალი სტუმრის რეზიდენცია ყოველმხრივ დაცულია და უსაფრთხოების გარანტიას ვაძლევთ. ამაზე სპეციალური დოკუმენტი იწერება ისევე, როგორც ყველა სხვა ობიექტზე, სადაც პრეზიდენტის ყოფნაა გათვალისწინებული. ისინი ამას ამოწმებენ, რწმუნდებიან (ასეთია მათი მოვალეობა და ჩვენც ასევე ვიქცევით ჩვენი ხელმძღვანელის უცხოეთში ვიზიტის დროს) და შემდეგ უსაფრთხოება ჩვენი უზრუნველსაყოფია. ყველგან, სადაც ასპროცენტიანი გარანტია მივეცით, კიდეც შევასრულეთ, უხარვეზოდ.

შეიარაღებულ ჯგუფზე, რომელიც პრეზიდენტს ახლდა, წინასწარ იყო საუბარი.

ჩვენმა მხარემ გამოთქვა დაეჭვება ამ ჯგუფის გამოყენების მიზანშეწონილობაზე. დაგვეთანხმნენ და გვესიამოვნა. იცით რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ გვყავს ჯგუფი, რომელიც აღჭურვილობით და მომზადებით მათზე მაღლა დგას.

— ასეა?

— დიახ, ასეა, და ამას ასე თამამად იმიტომ ვამბობ, რომ ასეთი შეფასება მისცეს მათაც, მოსკოველებმა. ამ სამინისტროში ჩემი წინამორბედების დამსახურებაა ეს. ამ ჯგუფით ჩვენ შევძლებდით პრეზიდენტის უშიშროების დაცვას. დაგვეთანხმნენ. მაგრამ სულ ბოლოს მაინც გადაწყვიტეს, რომ ჩამოიყვანდნენ პრეზიდენტის უშიშროების სამსახურის, მისი დაცვის სპეციალურ ქვედანაყოფს. ჩამოვიდა სამი ხუთეული, მეტი არა, დანარჩენი ჩვენი საქმე იყო.

აი, ამ ჯგუფის მებრძოლები ნახეს თბილისელებმა და არა „ალფასი". „ალფა" თბილისში არ ჩამოსულა.

მაინც რატომ ჩამოიყვანეს? არა მგონია იმიტომ, რომ ელოდნენ [illegible] აქ პრო[illegible] შესრულა [illegible] [illegible]ენთე-[illegible]

— არ გამოვრიცხავ, რომ დღეს მათ ეს სჭირდებათ. ამიტომ არც წინააღმდეგობა გაგვიწევია მაინცდამაინც. ამ შემთხვევაში საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით სტუმრის დაცვის სამსახური არის ინიციატორიც და საბოლოო სიტყვაც მისია, რადგან უშუალო პასუხისმგებლობა მას ეკისრება, რა თქმა უნდა, იმ ქვეყნის კოლეგებთან ერთად, სადაც ჩადიან.

ჩვენები კი არ ჩანდნენ არსად, თუმცა ძალიან კარგად გაწვრთნილი და ძალიან კარგად შეიარაღებული ჩვენი ჯგუფი, იმ ოპტიმალური რაოდენობით, რომელიც ასეთი შემთხვევებისთვისაა საჭირო და რომელიც ყოველ წამს მზად იყო გადამწყვეტი მოქმედებისთვის, ყოველთვის თან ახლდა პრეზიდენტის კორტეჟს.

და აქ გავიხსენეთ, რა უხერხულობა მოჰყვა შემთხვევას, როდესაც ზუსტად 13 წლის წინათ, 1981 წლის თებერვალში, როდესაც ბრეჟნევი ჩამოვიდა თბილისში, და აეროპორტიდან მომავალ საპატიო კორტეჟს, ნუგზარ ჯუღელისა არ იყოს, — არც მეტი, არც ნაკლები ძაღლმა გადაურბინა. თითქოს ყველაფერი ჩარაზულ-დაგმანული იყო და, ინებეთ, — ძაღლი! კინაღამ შეასკდნენ მოტოციკლისტები ერთმანეთს, „ჭუდეზე" კი „გენერალურის" „ზილი" „იქდათ".

რაც იყო, იყო.

— დღეს, როდესაც თბილისის ქუჩებში მაწანწალა ძაღლები უფრო მეტია, ვიდრე მოქალაქენი, მით უფრო მეტი თავსატეხი გქონდათ, ალბათ.

— ასეთი წვრილმანებიც უნდა გაითვალისწინონ უშიშროების სამსახურმა, პოლიციამ, და ხშირად ვერ ითვალისწინებენ, მით უფრო, ასეთ გართულებულ სიტუაციაში. ალბათ, ღმერთმა გადმოგვხედა და ასეთი მცირედი უხერხულობებისგანაც დაგვიცვა.

სერიოზული აქტების ჩატარება კი აბსოლუტურად გამორიცხული იყო. გამოცდილ მტერსაც კი არაფერი გამოუვიდოდა, რადგან ჩვენი ღონისძიებები, რომლებიც ეშელონირებულად, უწვრილმანესი დეტალების გათვლით წინასწარ ტარდებოდა, შეუძლებელს ხდიდა ფიქრსაც კი ტერორისტულ აქტზე.

— კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ თუ მოვინდომებთ, ყველაფერი გამოგვდის. აქედან გამომდინარე, ალბათ, ანგარიშგასაწევია ვიზიტისწინა მუშაობა, რომელიც ჩვენმა პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ გასწიეს.

— ორი აზრი არ არის, რომ გაზეთების ზომიერმა, მაგრამ სერიოზულმა პუბლიკაციებმა, ტელე და რადიოგადაცემებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს კეთილგანწყობის ატმოსფერო. უაღრესად დადებითად იმოქმედა ამ პროცესში ჩვენი კულტურისა და მეცნიერების ცნობილი მოღვაწეების ჩართვამ. და იცით, რა? ასეთ ერთობლივ ძალისხმევას არ უნდა ჰქონდეს კამპანიის ხასიათი. საერთოდ ვამბობ, — ყველა სხვა საქმეში, სადაც მართლა გვსურს რაიმე შედეგის მიღწევა.

ხშირად ხალხი ნაკლებად არის ინფორმირებული, თუ როგორაა განწყობილი საზოგადოების ესა თუ ის ფენა ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, და ამის გამო ზოგიერთი, სხვაზე უფრო აქტიური პოლიტიკური მოღვაწის პოპულისტური გამონათქვამები უფრო ვრცელდება, ვიდრე ჩამოყალიბებული და ხალხისთვის სასარგებლო აზრი.

მადლობა გადავუხადოთ გენერალ იგორ გიორგაძეს ჩვენი მოკრძალებული შრომის ასეთი შეფასებისათვის.

და გადავიდეთ საუბრის ძირითად თემაზე: საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება და უშიშროების სამსახური.

— ამ ხელშეკრულებით ჩვენ საშუალება მოგვეცა ვითანამშრომლოთ თანამეგობრობის ყველა ქვეყნის სპეცსამსახურებთან.

რუსეთის სპეცსამსახური ახლა რეორგანიზაციის პერიოდშია. მის სხვადასხვა სტრუქტურასთან სულ ცოტა 4-5 უწყებათაშორისი ხელშეკრულება უნდა დავდოთ, ნორმალურად რომ ვიმოქმედოთ. ასეთ ხელშეკრულებებს გავაფორმებთ ყველა ქვეყანასთან უკრაინიდან დაწყებული ტაჯიკეთამდე.

ამით ჩვენი სამოქმედო სივრცე შეუდარებლად გაფართოვდება. მხედველობაში მაქვს არა სადაზვერვო სივრცე, არამედ სივრცე კონტრდაზვერვის და იმ კრიმინალურ ელემენტებთან ბრძოლისა, რომლებიც ასე პარპაშობენ ჩვენს ქვეყანაში. პირდაპირ გეტყვით, ვერაფერს ვაკეთებდით იმ დამნაშავეთა წინააღმდეგ, რომლებიც რუსეთში, თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში აფარებენ თავს, ვერც ოპერატიულ ღონისძიებებს ვატარებდით, არც დაკავება შეგვეძლო. არ იყო სამამისო იურიდიული საფუძველი.

აქამდე, მაგალითად, ჩვენი პროკურატურა ვერ უგზავნიდა, ვთქვათ, [illegible] პროკურატურას [illegible] ელს განე[illegible] მიებები ამ [illegible] დასაკავებლად, დასაკავებლად. დღეს კი არის სამამისო იურიდიული ბაზა.

მინდა იცოდეთ, რომ ჩვენ ამის პარალელურად ვთანამშრომლობთ სხვადასხვა ქვეყანასთან. დასავლეთის სპეცსამსახურები გვეხმარებიან, მაგრამ, თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე, ამის აფიშირებას არ ახდენენ.

მაგრამ ჩვენთან ხომ ყველაფრის გაგების სურვილი კლავთ. სხვათა შორის, არც ჩვენ ვმალავთ. გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც პარტნიორები ინფორმაციის გავრცელებისგან თავის შეკავებას გვთხოვენ.

ეს თანამშრომლობაც გაღრმავდება.

ჩრდილოეთ კავკასიის, ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან არაერთხელ გვთხოვეს, რათა ჩვენს სპეცსკოლაში მათი წარმომადგენლები მოვამზადოთ.

რით არის ეს ცუდი?

ასევე კარგი უნდა იყოს, თუ ჩვენც აქტიურად გამოვიყენებთ [illegible], სანქტ-პეტერბურგის, კიევის, მოსკოვის სასწავლებლებს. ყველას თავისი სპეციფიკა აქვს და ჩვენც ყველაფერი გვჭირდება.

ერთ კაცს შეერთებულ შტატებში უსასყიდლოდ მოგვიმზადებენ, სხვა განვითარებულ ქვეყნებთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკება, მაგრამ ამ ქვეყნებში მასობრივად კადრების მომზადებაზე ლაპარაკი არც შეიძლება. ამიტომ აქტიურად გამოვიყენებთ ზემოთ დასახელებულ სასწავლებლებს.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სპეცსამსახურის თანამშრომლის მომზადება დღეს ფანტასტიკურად ძვირი ღირს და შეღავათს ისევ ის გაგვიწევს, პროფესიონალს ისევ ის მოგვიმზადებს, ვისთანაც ადრე მჭიდრო კავშირი გვქონდა.

— ესე იგი, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო-რუსეთის დიდი ხელშეკრულება ჩვენი ქვეყნის უშიშროების საფუძველი იქნება?

— რა თქმა უნდა!

ამასთანავე, საქართველოს უშიშროების უზრუნველყოფის სივრცე შავი ზღვის ქვეყნების ალიანსის ხარჯზე კიდევ უფრო გაფართოვდება.

თურქეთში, მაგალითად, ჩვენი მოქალაქეების მონაწილეობით ისეთი პროცესები ხდება, რომლებიც ისევ საქართველოს ვნებს. თურქეთთან გარკვეული შეთანხმებები გვაქვს და ვთანამშრომლობთ კიდეც.

ასევე იქნება რუსეთში. რახან გაჩნდა სამართლებრივი ბაზა, ჩვენი მოქმედებაც გააქტიურდება და, მგონი, ძალიან გაუჭირდებათ სისხლის სამართლის დამნაშავეებს, რომლებიც ამ ქვეყანას აფარებენ თავს.

ხელშეკრულებას ორმხრივი მოქმედების ძალა აქვს — ჩვენც ვალდებული ვართ შევასრულოთ რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების თხოვნა თანამშრომლობის, დახმარების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით მინდა [illegible] კიდევ [illegible] — ვართ თუ არა ჩვენ [illegible] მდგომარეობაში [illegible] შეკრულების გამო?

შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ჩვენი სამსახურის ჭრილში არავითარი კაბალა, არავითარი წნეხი, არავითარი ფარული გავლენა არ არის და არც შეიძლება იყოს.

პირიქით, ჩვენ, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის უშიშროების სამსახური, უფრო ძლიერი ვხდებით, უფრო მაღალ დონეზე ავდივართ, უფრო უკეთ უზრუნველვყოფთ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ უშიშროებას, რაც დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის ერთ-ერთი საფუძველი და გარანტიაა.

მაგრამ მთელი ეს მუშაობა ჩასატარებელია, პრაქტიკულ ლიანდაგებზეა დასაყენებელი. არის ორმხრივი კონკრეტული წინადადებები, რომელთა რეალიზაციაზე მუშაობენ ჩვენი შესაბამისი სტრუქტურების თანამშრომლები. საჭიროა მხოლოდ დრო.

— ბოლო შეკითხვა ვიზიტის წინა ღამეს მომხდარ ტერორისტულ აქტს შეეხება — თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოლკოვნიკ ნიკო კეკელიძის მკვლელობის ფაქტს. რუსეთის ზოგიერთმა საინფორმაციო სამსახურმა ეს შეაფასა როგორც პოლიტიკური აქცია, თქვენ რას ფიქრობთ?

— თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელმა (მუშაკებმა) შემთხვევის ადგილზე პირველ საათებში არ დაუშვეს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები. მაგრამ დღეს უკვე შევთანხმდით. ჩემი ბრძანებით სამინისტროში შექმნილია ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფი და სერიოზულ ღონისძიებებსაც ვატარებთ.

ძალიან მაკვირვებს დაუფიქრებელი შეფასებები, რომლებიც საჯაროდ გამოითქვა ამ ფაქტთან დაკავშირებით. პოლიტიკური მოღვაწეები, რომელთაც ხელთ არა აქვთ სერიოზული ოპერატიული და საგამოძიებო მასალები, თავიანთ ვარაუდს საქვეყნოდ არ უნდა აცხადებდნენ. როდესაც სამინისტრო, ესა თუ ის უწყება აკეთებს განცხადებას, იგი ყოველმხრივ გამართული და მოზომილი უნდა იყოს ფაქტობრივადაც და იურიდიულადაც.

არ მინდა ვინმეს პიროვნულად შევეხო და თქვენს მკითხველებს არ დავუსახელებ კონკრეტულ ინტერვიუსა თუ განცხადებას. დაინტერესებული თავად მონახავს, ოღონდ ერთს კი ვეტყვი: აქედანვე იკვეთება, რომ იმ ფაქტში მაფიოზური კლანების გარჩევის მომენტი და პოლიტიკური ხასიათის აქცია შერწყმული იყო. არ გამოვრიცხავთ სხვა ვერსიებსაც და ყველაზე ვიმუშავებთ.

არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ვიზიტისწინა საათებში მომხდარი ამ აქციის უკან გამოჩნდეს ზოგიერთი პოლიტიკური პარტიისა ან ცალკეული პოლიტიკური მოღვაწის მაფიოზურ სტრუქტურებთან შერწყმის კონკრეტული ფაქტები.

ინასკვებოდა საუბრის ახალი თემა. მაგრამ მინისტრს მეტი დრო აღარ ჰქონდა: 4 საათზე, რამდენიმე წუთში, დიდ დარბაზში მოწვეული ჰყავდა რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტის უშიშროების უზრუნველყოფის მონაწილენი. სახელმწიფოს მეთაურის სახელით მათთვის მადლობა უნდა ეთქვა, რადგან აღჭურვილი იყო ასეთი უფლებით.

ზოგი მეორე სართულის ბოლოში იდგა, ზოგი კიბეზე ამოდიოდა, აჩქარებით, არ დამაგვიანდესო, ზოგს უკვე დაეკავებინა ადგილი დარბაზში.

იმათ ვუყურებდი, ვინც იმ დღეს — 8 თებერვალს არ ჩანდა და საქმე კი გააკეთა როგორც ნამდვილმა პროფესიონალმა.

არმაზ სანებლიძე.

სურათზე: რუსეთის პრეზიდენტის დაცვის ჯგუფის მებრძოლები თბილისის აეროპორტში.

გივი კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა „საქართველოს რესპუბლიკისათვის").



ხიდები

ხელს შეუწყობს ხალხების დაახლოებას

ამ ბოლო წლებში მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, დაირღვა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ტრადიციული ურთიერთობა, მისი აღდგენა-განახლება გადაუდებელი საქმეა. კავკასიის ხალხების კეთილმეზობლური, ჰარმონიული თანაცხოვრება მისი თვითმყოფადი კულტურების, საერთოდ, ცივილიზაციის ამ ერთ-ერთი უძველესი კერის შემდგომი არსებობისა და განვითარების გარანტიაა.

ამ დღეებში იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა საზოგადოებრივი მოძრაობა „კავკასიის ჰარმონია". მოქალაქეთა და ორგანიზაციათა ამ ნებაყოფლობითი საერთაშორისო გაერთიანების მიზანია ისტორიულ-კულტურულ-გენეტიკური და დღევანდელი პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიურ-კონფესიური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა რეგიონული რეალიების გათვალისწინებით კავკასიის ხალხების მშვიდობიანი ურთიერთობისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა, თანამედროვე მსოფლიოში კუთვნილი ადგილის დამკვიდრებისათვის თანამიმდევრული ძალისხმევა.

მოძრაობის დევიზია — ეროვნულ საფუძვლებზე დაყრდნობით ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და მიზნებისაკენ სწრაფვა, კონსტრუქციული ნეიტრალიტეტი, „სახალხო დიპლომატიის" სრულად ამოქმედება.

პერსპექტიულად არის მიჩნეული (აპრობირებულია პრაქტიკული კონტაქტებით) მოძრაობაში ჩაბმულ კავკასიელთა წარმომადგენლობითი უხუცესთა საბჭოს საზოგადოებრივი ინსტიტუტის ამოქმედება.

მოძრაობის ამოცანებია: კავკასიოლოგიურ სამეცნიერო კვლევათა გაფართოება-განვითარებისათვის ხელშეწყობა; მნიშვნელოვანი ინიციატივების, საერთო-კავკასიური ინტერესებიდან გამომდინარე ურთიერთხელსაყრელი პროექტებისა და პროგრამებისათვის დასაბამის მიცემა, მათი პრეზენტაცია-წარმოჩენა; კავკასიის, შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზების გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების შესწავლა და სხვ.

ალექსანდრე ალექსიძე.

საქართველოს ისტორიის დიდი დღე

შემობრუნება

კიდევ ერთხელ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე

ორი სიტყვით რომ დავახასიათოთ უკანასკნელი წლების ისტორია, უნდა ვაღიაროთ: გაგვიქცა საქართველო! ადრინდელ ჩემს წერილებში თავს უფლება მივეცი ზოგიერთი შედარებისთვის მიმემართა, ახლა კი გავბედავ და მათ თავს მოვუყრი, რათა ჰომეროსის მიბაძვით სრული შედარება — სურათი წარმოვადგინო: დაღმართზე ეტლი მიექანება, ეტლში შებმულ ცხენებს თვალებზე რიდე აქვთ აფარებული, რათა გვერდზე არ გაიხედონ და მათზე გავლენა არ მოახდინოს იმან, რაც ირგვლივ ხდება. ეტლს ატორლიალებიან ონავარი ბიჭ-ბუჭები, პატარ-პატარა პარტიები და გამაყრუებელი ყიჟინით ცხენებს აგულიანებენ. მათ შესანიშნავად იციან, რომ უფსკრულის პირას ტყაპა-ტყუპით გადმოცვივიან, თავს უშველიან და უბედურება მაინც მეეტლეს დაბრალდება...

ასეთია უკანასკნელი წლების საქართველოს ისტორია.. როდის შეჩერდება ეს დაუოკებელი სწრაფვა უფსკრულისაკენ, როდის შემობრუნდება ეტლი ჩვენი ცხოვრებისა?

არ დაგვკლებია არც სამოქალაქო ომი, არც ინტერვენცია, არც მანადგურებელი მიწისძვრები და მეწყერი, არც სიცივე და შიმშილი. ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი: არარაობიდან სახელმწიფოს შექმნის გარდაუვალობამ, არარსებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე „გადასვლამ", დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების აუცილებლობამ, დემოკრატიის არა მარტო ჩასახვის, არამედ განვითარების საჭიროებამ. ყველაფერი არა თანდათანობით, არა ერთი-მეორის მიყოლებით, არამედ ერთად და ერთბაშად უნდა გადაგვეწყვიტა. ...ავი მოგვქონდა, ოღონდ თავისუფლება მოვიპოვოთ და ყველაფერს მოვერევით, ჩვენ ხომ ის ხალხი ვართ, რომელსაც შეუძლია პრეზიდენტებით მთელი მსოფლიო მოამარაგოსო, ამ დროს თვითონ ხმების დიდი უმრავლესობით ისეთი პრეზიდენტი ავირჩიეთ... როგორც იყო! ქუდი ყვავარზე გვქონდა ...ებული, ვიდრე ჩვენს მიერ აგიზგიზებულ ხანძარში არ მიგვეწვა ... არც ქუდი შეგვრჩა და არც ...ვარი... ვერ გაუძლო ჩვენმა დაღლილმა მხრებმა ერთბაშად აღებულ ტვირთს — დამოუკიდებლობას, დემოკრატიას და ეკონომიკას. ყველაფერი კი სხვას დავაბრალეთ, ...ეტს ვუღერებდით გოლიათ კა...ის მეზობელს, რომელსაც საკუთარი გაჭირვებაც ჰყოფნიდა და ...ც კი ეჩვენებოდა, რომ მის ...უბედურებაში ჩვენ გვედო ლომის წილი. გვიკვირდა, რომ ჩვენი ღრე... და ბჭკენა მას კიდევ უფრო ...ზიანებდა, ვერ გაგვეგო, რომ ...ულზე მოღიტინება გოჯს იქნებ ...ამოვნებს კიდეც, მაგრამ დაჭრილ ...თვს — ნურას უკაცრავად!

რა თქმა უნდა, ძნელია ისეთი ...ის მეზობლობა, რომელიც ღობეს არღვევს, რათა ღორები შემოუშვას შენს ბოსტანში. არ დაადგამს იგი თავის ღორებს უღელს, როგორც იციან კარგმა მეზობლებმა დასავლეთ საქართველოში, თუ მტრად მიაჩნიხარ. ასეთი ღორები ბლომად შეესივნენ აფხაზეთს... მაგრამ ისიც არის ნათქვამი, კარგი მეზობელი ნათესავს გერჩივნოსო. თუ მაინცდამაინც ასე გვინდა, ჩავთვლით, რომ ამერიკელები ჩვენი ბიძაშვილები არიან, მაგრამ როგორ მოვიქცეთ მეზობელ რუსეთთან? მეზობელს ხომ არავინ შეგვიცვლის? არსად წავა რუსეთი! იქნებ ჩვენ ვაპირებთ სადმე, ვთქვათ, დაუსახლებელ ანტარქტიდაში წასვლას? თუ არ ვაპირებთ, მაშინ ხომ უსასრულოდ გვიწერია ერთმანეთის გვერდით ყოფნა?

სამწუხაროდ, ამაზე ძალიან ცოტა ვინმე ფიქრობდა ჩვენში. ეკატერინე მეორიდან დაწყებული, თუკი ჩვენთვის ვინმეს რამე დაუშავებია, ყველაფერი დღევანდელ რუსეთს ავკიდეთ და ერთობ გაგვიკვირდა, კუდქიცინა არძინბები და ჩოჩიევები რომ არჩიეს მუშტმოღერებულ ქართველ „მამულიშვილებს". თავი ბევრად კი არ შეუწუხებიათ, უბრალოდ უღელი არ დაადეს თავიანთ ღორებს, ღორებს კი რა გამოლევს ქვეყანაზე!

დღეს ოპოზიცია ბრალს სდებს ხელისუფლებას, რომ მან „კაპიტულანტური პოლიტიკა" აირჩია, რადიკალების აზრით — ნებით, ხოლო შედარებით ზომიერთა აზრით — უჩვეულოდ ისეთ გზას დაადგა, რომ ხალხი დაერწმუნებინა — ურუსეთოდ ჩვენი არსებობა შეუძლებელია, ამიტომ „თანამეგობრობაშიც" და სამანეთო ზონაშიც უნდა შევიდეთო, ამ დროს არც ერთ მათგანს აზრად არ მოსდის, რომ თუ ისინი მართალია პარტიები არიან, ანუ მათ აზრს საზოგადოებაში ვინმე მხარს უჭერს, თავიანთი წილი პასუხისმგებლობა მათაც ეკისრებათ. მით უმეტეს, საოცარია, რომ პრეტენზიებს უყენებენ ხელისუფლებას ისეთი პარტიების ლიდერები, რომელიც თავიანთი დეპუტაციით ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში — პარლამენტში არიან წარმოდგენილნი. მათ ჰგონიათ, რომ ამით ხელისუფლების უუნარობას უსვამენ ხაზს, სინამდვილეში კი თავიანთ უსუსურობას ადასტურებენ!

ოპოზიცია თავს იმით იმართლებს, რომ ჩვენში თითქოს თავისუფალი პრესა არ არსებობს, რომ ხელისუფლება ოპოზიციურ აზრს ახშობს და ამიტომ მას არა აქვს საშუალება თავისი „არგუმენტებით" დაამტკიცოს სიმართლე. მოგვაქვს ტიპობრივი ამონაწერი ერთ-ერთი გაზეთიდან, რომელსაც თავშივე აწერია „თავისუფალი გაზეთიაო". ეს გაზეთი გახლავთ „შანსი", „ვერც იმას იფიქრებდა ვინმე, რომ ისეთი ხელისუფლება ეყოლებოდა, რომელიც დაუნდობელი მტრის სისხლს გაუფრთხილდებოდა და მზაკვრული მიზნების სამსახურში მყოფი ომობანას ითამაშებდა"... და კიდევ: „რომ აღარაფერი ვთქვათ, სახელმწიფოებრიობის დაკარგვის იმ საფრთხეზეც, რომელიც ხელისუფლების გამიზნული პოლიტიკის შედეგად უფრო და უფრო რეალური ხდება... უიმედო მდგომარეობის მიზეზი ხელისუფლების გამიზნული პოლიტიკა, რომლის არსიც იმაშია, რომ ქართველი ერი მუდმივი მარცხისა და საშინელ პირობებში ჩაყენებით მიეყვანათ ისეთ მდგომარეობამდე, როცა ერთადერთ მხსნელად და მშველელად რუსეთს მიიჩნევდა. ამ აზრის დამადასტურებელი უამრავი რკინის (?) არგუმენტი არსებობს, რომელსაც ხელისუფლება ვერაფერს უპირისპირებს. სწორედ ამიტომაც მოუწოდებს ოპონენტებს, წარსულის ჩხრეკვას თავი ვანებოთო, ხოლო როცა ჯერი მიდგება მდგომარეობიდან გამოსვლის ძიებაზე, ამ დროს ოპოზიციის აზრით შესმენა არ სურს და ანტიდემოკრატიული მეთოდებით მას საინფორმაციო საშუალებებისაკენ გზას უკეტავს". (გია თვალავაძე, „ასეა თუ ისეა, ყველაფერი რიგზეა..." გაზ. „შანსი". 3-10 თებერვალი, 1994).

ამ აბდაუბდის წაკითხვით მკითხველს არ შევაწუხებდი, რომ იგი ხელისუფლების ოპოზიციისათვის ტიპობრივი არ იყოს: ცრემლებს აღვარღვარებენ, ხელისუფლება თავისუფალ აზრს ახშობსო და ამავე დროს არა პროკლამაციაში, არამედ იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრირებულ, 5000-კუპონიან გაზეთში ხელისუფლებას ერის ღალატში სდებენ ბრალს! ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს! ან იქნებ „შანსი" თავის თავს არ თვლის „ინფორმაციის საშუალებად?" მე მას არ მინდა ვუწოდო დეზინფორმაციის საშუალება და თვითონ რატომ მიბიძგებს აქეთკენ?

და საერთოდ, ასეთი „არგუმენტები", ხელისუფლების „მზაკვრული მიზნების სამსახურში ყოფნის", მისი „გამიზნული პოლიტიკის", წერილის ბოლოს პირდაპირ „ანტიეროვნული პოლიტიკის" აღნიშვნა უკვე ოპოზიციონერობა კი არა, აშკარა ბრძოლაა ხელისუფლების წინააღმდეგ, მისი დამხობისაკენ მოწოდებაა! ამაზე მეტიც პრესის თავისუფლება რომელ ქვეყანაშია წარმოსადგენი, მით უმეტეს, საგანგებო ვითარების პირობებში? რას მოვითხოვთ, ბატონებო, ხელისუფლებისგან, ავტომატებისა და ტანკების დარიგებას? კიდეც მიიღო ზოგიერთმა მაღალი მოხელისგან თქვენმა ძმამ, ლოთი ქობალიამ, ასეთი დახმარება და ხომ კარგად მოგეხსენებათ, როგორ გამოიყენა!

ასე რომ, წუწუნი, ხმას არ გვაღებინებენო, ვერაფერი გასამართლებელი მიზეზია. სწორედ ამიტომ უნდა მომიტევოთ, წერილის დასაწყისში ოპოზიცია რომ ონავარ ბიჭ-ბუჭებს შევადარე ნიშნის მოგება ნამდვილი პოლიტიკოსის საქმე არ არის. უნდა შევძლოთ, გავაანალიზოთ წარსულის შეცდომები და ყველამ ვიკისროთ პასუხისმგებლობის საკუთარი წილი.

თუ საქმეს ამ თვალსაზრისით შევხედავთ, მივხვდებით, რომ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაში რუსეთს გაცილებით ნაკლები ბრალი მიუძღვის, ვიდრე საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ ძალებს. ნუ დავიწყებთ ძიებას 1801 ან თუნდაც 1921 წლიდან. იმ პერიოდში, საქმე მოდური სიტყვით რომ ვთქვათ, „ცალსახად", წარმოგვიდგება. რაკი ლაპარაკია დღევანდელ ხელისუფლებაზე და დღევანდელ რუსეთზე, შემოვიფარგლოთ იმ პერიოდით, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. რა გააკეთა საქართველომ და რა გააკეთა რუსეთმა, რათა მათ შორის ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარებულიყო?

საქართველომ სამტრედიაში კომიკური „ეკონომიკური ბლოკადა" გამოუცხადა რუსეთს, ამით ხელთ აიღო ინიციატივა. იმ იმედით, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ იყო გარკვეული ეკონომიკური პოტენციალი, ჯერ კიდევ შეიძლებოდა საქართველოს ბანკიდან ტომრებით რუსული ფულის გაურკვეველი მიმართულებით გატანა და ამ რესურსებით ქვეყნის იზოლაციაში წელიწად-წელიწადნახევარი კიდევ შეეძლო არსებობა, გაწყდა გარესამყაროსთან ყოველგვარი კავშირი, ერთხანს სატელევიზიო არხიც კი გადაიკეტა. იმის ნაცვლად, რომ გვეზრუნა საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდაციაზე, ჯერ ხომ ოცდაათსიანი „მშვიდობიანი" დასამშვიდებელი მიტინგის ჩატარება გადავწყვიტეთ ცხინვალში და ორასიოდე თავზარდაცემული ოსის დანახვისას თვითონვე შეგვეშინდა, უკან გამოვიძურწეთ ჩვენი „ერის მამის" წინამძღოლობით. ამით გავათამამეთ ცხინვალის ოსური მოსახლეობა, იარაღი ხელში ავაღებინეთ და დავაკანონეთ იმ რეგიონში რუსეთის შინაგანი ჯარის იურისდიქცია. შემდეგ დაიწყო ოსთა შევიწროება და ლტოლვა საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან, თუნდაც ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობის გახიზნის საპასუხოდ. მსოფლიო საზოგადოებრიობამ, მართალია, რუსული პროპაგანდისტული მანქანის ხელშეწყობით, მაგრამ არც თუ სრულიად უსაფუძვლოდ, ჩვენ დაგვდო ბრალი. გავიხსენოთ ჩვენი იმდროინდელი ურთიერთობა თუნდაც საქართველოში დამკვიდრებულ ლეკებთანაც. საქართველოში ნამდვილად თანდათანობით ფეხს იკიდებდა პროვინციული ფაშიზმი. დაიწყო კოსტავას საზოგადოებისთვის მოგროვილი თანხებით არაქართული მოსახლეობისაგან ბინების შესყიდვა, იარაღის შეძენა, საეჭვო პირებისთვის დარიგება, სახლების პირდაპირი მიტაცება, რუსთაველის პროსპექტზე ავტომატის კანონი, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის სწორება, ხელისუფლების წაქეზებით, რუსული სამხედრო ნაწილის მიერ „მხედრიონის" დარბევა შავნაბადაზე და სხვა მოვლენები, რომელთაც სათავე დაუდეს იარაღისა და ძალადობის კულტს, ბანდიტური დაჯგუფებების შექმნას, პარტიების შეიარაღებას, დივერსიას, ტერორს, მაფიური კლანების წარმოქმნას. ყველაფერს ამას ნუ დავაბრალებთ რუსეთს, ნურც მის დაზვერვას, მას მხოლოდ ხელის შეწყობა შეეძლო და არა ამ ქაოსის გამოწვევა.

იმავე აფხაზეთთან დაკავშირებით, სადაც თითქოს რელიეფურად გამოჩნდა რუსეთის იმპერიული ძალების როლი, უნდა ითქვას, რომ თავიდან. ვერ ავიცდენდით, ალბათ, აფხაზეთში არეულობას, სისხლიან შეტაკებებსაც.

მაგრამ თუ აფხაზეთი დროებით დავკარგეთ, ჩვენი ბრალია და არა რუსეთის, დავიწყოთ ყბადაღებული აპარტეიდული საარჩევნო კანონით. აფხაზეთს ლეგიტიმური ხელისუფლების ვაკუუმი ემუქრებოდა, რადგან იმდროინდელ უზენაეს საბჭოს უფლებამოსილების ვადა გასდიოდა. ჩემს ერთ-ერთ ადრინდელ წერილში ვწერდი, რომ ეს უფრო იმ საბჭოს საწუხარი იყო, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებისა, რომლის იურისდიქციაში ჯერ კიდევ შემოდიოდა აფხაზეთი. ამიტომ თუ კომპრომისზე მიდგებოდა საქმე, იგი მოსალოდნელი იყო უფრო აფხაზთა მხრიდან!

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას შეიძლებოდა კეთილი ნებაც გამოეხატა და აფხაზეთის მოსახლეობის 17 პროცენტისთვის დაეწესებინა გაზრდილი კვოტა, თუნდაც 25-30 პროცენტამდე. მაგრამ ეს იქნებოდა ოცამდე მანდატი და არა უმრავლესობა — 28! ვერავინ აიძულებდა საქართველოს ისეთი უგუნური ნაბიჯის გადადგმას, რომელიც მან გადადგა. მით უმეტეს, ვერავინ აიძულებდა მას ხელი შეეწყო მაინცდამაინც ვლადისლავ არძინბას არჩევისათვის, რომლის პროსაბჭოური და ანტიქართული პოზიცია, როგორც ყბადაღებული ბლოკის „სოიუზის" ერთ-ერთი ინიციატორისა და ლიდერისა, იმთავითვე ცხადი იყო! ნიშანდობლივია, რომ მის არჩევას მხარს არ უჭერდა ზოგიერთი აფხაზი დეპუტატიც, რომელთაც იცოდნენ, რომ აფხაზთა ახალი ლიდერი დაღუპვისაკენ უბიძგებდა საკუთარ ერს. მაგრამ ქართველთა დეპუტაციამ ჩვენი იმდროინდელი ხელისუფლების ძალისხმევით ერთხმად დაუჭირა მხარი თავის მომავალ მტერს!

განა ეს რუსეთის ბრალია? რუსეთის გარკვეულ ძალებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ ხელი შეეწყოთ ამ პროცესისათვის, მაგრამ მისი განხორციელების ცოდვა მთლიანად საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების კისერზეა, მათ შორის, ჩვენი ახლანდელი პარლამენტისაც, რომელმაც „პირნათლად" შეასრულა გამსახურდიას დავალება!

არძინბამ საქართველოს მთელ უზენაესი საბჭო თავისი თავმჯდომარეიანად, აპარტეიდული საარჩევნო კანონის სანაცვლოდ საკადრო პოლიტიკაში „ჯენტლმენური" შეთანხმებით მოაღორა. თუმცა, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა დასავლეთ საქართველოში, სამოქალაქო ომის დროს არძინბა-გამსახურდიას ალიანსმა შეიძლება გადაარჩინოს ამ მხრივ გამსახურდიას „რეპუტაცია" და მაშინ მეც და თქვენც, იმ დროს საქართველოში მომქმედო ბატონო პოლიტიკოსებო, ყველანი ერთ არძინბად არ ვღირვართ!

განა ეს რუსეთის ბრალია? თუ ჩვენი, მეტი რომ არ ვთქვა, მცონარობის, გულარხეინობის ან გულუბრყვილობის შედეგია? არძინბამ კარგად შეისწავლა ცხინვალის რეგიონიდან ქართველთა, ხოლო ქარელის, კასპის, ბორჯომის რაიონებიდან და თბილისიდანაც კი ოსთა შევიწროების გაკვეთილები, ეთნიკური წმენდა და გენოციდი ეგრე არ უნდაო და, პროვინციული ფაშიზმი უფრო მაღალ „საფეხურზე" აიყვანა.

ეს გახლავთ აფხაზეთის ტრაგედიის ერთი ძირითადი ფაქტორი. მეორე, უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი, გახლავთ თვით ქართველთა გათიშულობა და ურთიერთდაპირისპირებულობა საკუთრივ აფხაზეთში და დასავლეთ საქართველოს მიმდებარე რაიონებში. უფრო მეტიც, გამსახურდიას რეჟიმის რესტავრაციის ძირითად ბერკეტად მიჩნეულ იქნა აფხაზეთში სამთავრობო ჯარების დამარცხება. ეს იყო წმინდა წყლის ლენინური კაპიტულანტური პოლიტიკა. როგორც გახსოვთ, იგი ბოლშევიკების გამარჯვების გარანტიად თვლიდა რუსეთის დამარცხებას პირველ მსოფლიო ომში. მან გაყიდა თავის დროზე რუსეთი, რისთვისაც, როგორც ჩანს, ქრთამიც აიღო გერმანიისგან. არძინბა კარგად ხედავდა, რომ აფხაზეთის ქართველობაში საქართველოს ხელისუფლებას არ ჰქონდა მტკიცე დასაყრდენი, იქ ჯერ კიდევ მძლავრობდნენ „მრგვალი მაგიდის" ორგანიზაციები, ხოლო სამეგრელოში დაძრწოდნენ ანტისამთავრობო შეიარაღებული ბანდები. ასე რომ, ქართულ ჯარს თუ მტრული არა, ყოველ შემთხვევაში, მეტად არასაიმედო ზურგი ჰქონდა. თავისთავად ეს ჯარიც ძირითადად გამოუცდელი მოხალისეებისგან შედგებოდა, რომელთა შორის იყვნენ ნამდვილი გმირებიც, მაგრამ ბევრი იყო მოღალატე, საზღვარზე გამოსული მტაცებელი თუ მოროდიორი. გულუბრყვილობაა ფიქრი იმაზე, რომ არძინბა იბრძოდა ძირითადად რუსეთიდან შემოსული ავანტიურისტების, „მოხალისეების", თუ გაბრიყვებული აფხაზების იმედით. არა, იგი ქართველების იმედით იბრძოდა!

რომან მიმინოშვილი.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ინფორმაცია

გრძელდება ხელახალი რეგისტრაცია

დაიწყო და გრძელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა იმ წარმომადგენლების ხელახალი რეგისტრაცია, რომლებიც საპარლამენტო საქმიანობის გასაშუქებლად პარლამენტის პრესსამსახურში აკრედიტაციას ითხოვენ.

პარლამენტის პრესსამსახური საქართველოს პრესის ორგანოებს, ტელერადიოკომპანიებს, საინფორმაციო სააგენტოებს, სახელმწიფო-საუწყებო, თუ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ორგანიზაციების პრესსამსახურებს, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების მისიათა პრესსამსახურებს და უცხოეთის სახელმწიფოთა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საკორესპონდენტო პუნქტებსა და ბიუროებს სთხოვს დააჩქარონ პარლამენტის პრესსამსახურში საკრედიტაციო მიმართვების გამოგზავნა. მიმართვებს თან უნდა ახლდეს აკრედიტაციაში გასატარებელი ჟურნალისტების სია და საშვის სტანდარტის ორ-ორი ფოტოსურათი.

მიმართვების წარმოდგენის ბოლო ვადაა 20 თებერვალი.

ჩვენი საკონტაქტო ტელეფონებია 99-68-82.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

დევნილთა ახალი ნაკადი

7 თებერვალს 16 საათზე აფხაზმა სეპარატისტებმა დაარღვიეს ენგურის ხელშეკრულება და გალის რაიონის რვა სოფლიდან აყარეს და გამოაძევეს ორი ათასამდე ადგილობრივი მოსახლე, მათ შორის — ქალები, ბავშვები და მოხუცები. ისინი ახლა მთებზე გავლით წალენჯიხის რაიონისაკენ მოემართებიან. დევნილთა მდგომარეობა სავალალოა, რადგან მთებში დიდი თოვლი დევს. წალენჯიხის რაიონის გამგეობიდან საქართველოს მოქალაქეთა კავშირის პრესსამდივნოს აცნობეს, რომ დამხმარე ჯგუფის მეშვეობით ლტოლვილებს 1 ტონა პური გაუგზავნეს.

მსხვერპლი — ავარიის შედეგად

როგორც საქართველოს სარკინიგზო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გუგული მაისურაძემ რედაქციას აცნობა, 8 თებერვალს დილის 4 საათზე ძირულა-ხარაგაულის გადასარბენზე, ორ და ერთლიანდაგიან შემაერთებელ პორტზე ერთმანეთს შეეჯახა თბილის-ბათუმისა და ფოთი-თბილისის სამგზავრო მატარებელი.

წინასწარი მონაცემებით ფოთი-თბილისის მატარებელმა გაიარა ამკრძალავი სიგნალი, გავიდა ერთლიანდაგიან მონაკვეთზე და შეეჯახა თბილისიდან მიმავალ მატარებელს. შეჯახების შედეგად დაიღუპა სამი ადამიანი, არიან დაჭრილები.

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განცხადებასთან დაკავშირებით, რომელშიც დაგმობილია ბოლო დღეებში აფხაზ სეპარატისტთა მიერ ჩადენილი ბარბაროსობა, ჟენევაში ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის გამართულ მოლაპარაკებებზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯაბა იოსელიანმა უცხოური რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ აუცილებელია დღეს აფხაზეთის რეგიონში მყოფი ქართული მოსახლეობის დაცვა დიპლომატიური ან თუნდაც სამხედრო გზით. ეს უკანასკნელი არ არის გამორიცხული, რადგან აფხაზთა უკანასკნელი თავხედობა არის ფაშიზმი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

თბილისი. საერთაშორისო ექსპერტები გამოთქვამენ სერიოზულ შეშფოთებას აფხაზეთის რეგიონში განახლებული საომარი მოქმედებების გამო. მათი აზრით, ამ ფაქტმა შეიძლება ხელი შეუშალოს ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების მე-3 რაუნდის გამართვას, რომელიც დაგეგმილია ჟენევაში 22 თებერვალს.

თბილისი. დედაქალაქში ჩამოფრინდა ორი სამხედრო თვითმფრინავი, რომლებმაც ჩამოიტანეს 18 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი. იგი გამოგზავნილია თურქეთის რესპუბლიკის ორგანიზაცია „წითელი ნახევარმთვარის" მიერ. ტვირთი ძირითადად შედგება კვების პროდუქტებისა და მედიკამენტებისაგან. იგი განკუთვნილია იძულებით გადაადგილებულ იმ პირთათვის, რომლებიც დასაცლელთ საქართველოში იმყოფებიან.

განგაში!

მესტია: თეთნულდის შავი რიდე

პური — არც მკვდარს, არც ცოცხალს

ეს ქვესათაური ვითარების გამუქებისთვის არ არის გამოტანილი. საქმე ის გახლავთ, რომ მესტიის რაიონში პურის უკანასკნელი გრამებიც ამოიწურა. ამ კვირაში სოფელ მულახში ორი ხიზანი გარდაიცვალა და მიცვალებულთათვის ქრისტიანული წესის ასაგებად... ფქვილი არ გააჩნდათ. დიახ, პური არც ცოცხალი კაცისთვის დარჩა და აღარც მკვდრისთვის.

დღეს გაჭირვებით ვერავის გააკვირვებ... უკვე მერამდენედ ამ სიტყვებით ვიწყებ წერას სვანეთის სატკივარზე. გაჭირვებაც არის და გაჭირვებაც — მას შემდეგ, რაც აფხაზეთიდან დევნილმა და გატანჯულმა თანამოძმეებმა სვანეთის უღელტეხილებზე გადაიარეს, არაერთხელ შემოვკარით განგაშის ზარები. სვანეთის საშველად. და მაინც, მაშინ საქვეყნოდ უბედურების ზონად გამოცხადებული სვანეთი, კვლავ უბედურების ზონად დარჩა.

1993 წლის 18 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სპეციალურ სხდომაზე იმსჯელეს სვანეთის რეგიონის გადაუდებელი სოციალური საკითხების გარშემო. მიღებული დადგენილების თანახმად 25 დეკემბრისთვის მესტიის რაიონში უნდა გაეგზავნათ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტები: პური, შაქარი, ბურღულეული... მაგრამ დაპირება — დაპირებად, დადგენილება — დადგენილებად დარჩა:

იმედგაცრუებული, სასოწარკვეთილი მოსახლეობა გეხვეწებათ, მოგვხედეთ, ჩვენც ხალხი ვართო! 9 ათას ხიზანთან ერთად სვანეთი მოთმინებით იტანს შიმშილს და უკანასკნელ ლუკმას უყოფს გაწამებულ ადამიანებს. შიმშილს რაიონში გამეფებული საერთო კრიზისიც ემატება: გაძარცვული საწარმო-დაწესებულებები, უგზოობა, უმუშევრობა..., არ არის კავშირი სოფლებს შორის, ერთი თვის განმავლობაში ვერ აღსდგა კავშირი დედაქალაქთან. არც პრესა, არც ტელევიზია... გარე სამყაროს მოწყვეტილი სვანეთი ქვეყნის ეკონომიკისთვის არავითარი სარგებლობის მომტანი აღარ არის. ადამიანები შეიპყრო უიმედობამ, ახალგაზრდობა ქალაქისაკენ გარბის და ბევრი მათგანი კრიმინალური სამყაროს ხლართებში ებმება.

„ლეგალური" ბანდიტები

უკვე კარგა ხანია ჯვარი-ხაიშის საავტომობილო გზის ერთ მონაკვეთში დაბანაკებულია ბანდიტთა ხროვა: კბილებამდე შეიარაღებული ნიღბიანი ბოროტმოქმედები უმოწყალოდ ძარცვავენ გამვლელ-გამომვლელს. ძარცვავენ დღისით თუ ღამით, განურჩევლად ყველას, შინაურსაც და გარეულსაც. ეს „ლეგალური" ბანდიტები ისე გათავხედდნენ, რომ ნაძარცვიდან პირადი საბუთების გამოსასყიდ თანხას ითხოვენ მგზავრებისგან და საამისოდ... შეხვედრის დროს და ადგილს უნიშნავენ.

მესტიისა და ზუგდიდისკენ მიმავალმა მგზავრებმა კარგად უწყიან ამ გარეწართა „საბაჟოს" მწარე გემო... რა სამარცხვინოც არ უნდა იყოს, უნდა ვთქვათ: ბანდაში 4 ქალია.

განმკითხავი? — არავინ! მესტიის რაიონის პოლიცია თვითონ ლაფავს სულს და შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად, არც არსებობს. შეურაცხყოფილი მგზავრები სამართლის საძებრად ზუგდიდის პოლიციას მიმართავენ. იქ უპასუხებენ, „ზემოდან დაგვავალონო"... „ზემოთ" კი სვანეთისთვის ჯერ არ სცალიათ. ამასობაში ზუგდიდამდე 2 კილოგრამი შაქრის საყიდლად ფეხით ჩასული კაცი შინ ხელცარიელი და ტანზე გამოძარცვული ბრუნდება. მესტიელები ითხოვენ: ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ცინიზმსა და სისასტიკეს!

სუფთა გული და ხელი მთიელთა სიამაყეა

სუფთა გულით ოდითგან ამაყობდნენ სვანები. სუფთა ხელებითაც. ამჯერად ლაპარაკია ელემენტარულ სუფთა ხელებზე — კაცმა რომ საპონი აიღოს და ხელ-პირი დაიბანოს.

ზემოთ ხსენებულ სამთავრობო სხდომაზე კატეგორიულად დაისვა საკითხი მოსახლეობის უკიდურესი სანიტარიული მდგომარეობის შესახებ.

მაინც როდის მივაწვდით სვანეთს საპონს, რათა მთიელებმა როგორმე შეურაცხყოფის ჭუჭყი ჩამოირეცხონ? ხვალ? ზეგ?

„ვალუტა" სვანეთისთვის

იმავე სამთავრობო დადგენილების ერთ-ერთი პუნქტი რაიონის კუპონებით უზრუნველყოფასაც ითვალისწინებდა. როგორც იქნა გამოყვეს 500 მილიონი კუპონი, მაგრამ რაიონში ფულის საავტომობილო გზით შეტანა სარისკოა. საჭირო გახდა შვეულმფრენი. ბანკის მესვეურებს სიმწრის ოფლი დაასხა, როცა გასამრჯელოდ 100 მილიონი მოსთხოვეს, მაგრამ რა უნდა ექნათ! ასე ძვირადღირებულმა „ვალუტამ" როგორც იქნა, სვანეთამდე ჩააღწია.

შვეულმფრენი, რომელიც სვანეთისათვის გარე-სამყაროსთან ერთადერთი დამაკავშირებელია, კარგა ხანია აღარ გამოჩენილა თეთნულდის საუფლოში. მგზავრობის კოსმოსური ფასების გადახდას მესტიელები სიზმარშიც ვერ შეძლებენ. არადა, კბილიც რომ ასტკივდეს ბავშვს, ქალაქისაკენ უნდა გააქანონ, რადგან არანაირი მედიკამენტი რაიონში არ მოეპოვებათ. როგორც აქაურები ამბობენ, მთავარმა ექიმმა ადილარ ჩართოლანმა თავისი ხელით ჩამოიტანა პირველი დახმარების მედიკამენტები და იმით ვსულდგმულობთო. არ მუშაობს აფთიაქი, საავადმყოფო ვერ იღებს ავადმყოფებს.

მიზეზებზე საუბარს ამ კონტექსტში აზრი არა აქვს. კაცი მაინც იმედით ცოცხლობს. თეთნულდზე მობურული შავი რიდეც კი ვერ აქრობს ამ იმედს.

თამილა ჯაფარიძე,
„სრ" საკ. კორ.

„....და აქიმი ეგეთი ხამს..."

...ვზივარ და კალამს ვაწვალებ...

ბაბუხადიების მყუდრო სახლიდან წამოყოლილი განწყობა არ მშორდება.

...მახსენდება ტოლსტოი... „— ახლა თუ მაგარი ნერვები გაქვთ, გადით მარცხნივ, კარებში; იქ ოთახში ჭრილობებს უხვევენ და ოპერაციებს აკეთებენ. იქ ნახავთ იდაყვებამდე ხელებგასისხლიანებულ, ფერმკრთალ, დაღვრემილ ექიმებს, — ისინი საწოლს დასტრიალებენ, რომელზეც თვალებგახელილი დაჭრილი წევს, იგი ქლოროფორმის გავლენით ლაპარაკობს, როგორც ბოდვის დროს, — უაზრო, ზოგჯერ უბრალო და ამაღელვებელ სიტყვებს; ექიმები კი გართულნი არიან ამპუტაციის საზარელი, მაგრამ სასიკეთო საქმით..."

...საზარელი, მაგრამ სასიკეთო... იქნებ ესაა ყველაფერი...

...გოგებაშვილის ქუჩაზე ასე მიმასწავლეს ბაბუხადიების სახლი: — ხელმარცხნივ შეუხვევთ და მათი ჭიშკარი სულ ღიააო...

„...და აქიმი ეგეთი ხამს, რომელ აქიმობაი კარგად და სრულად იცოდეს და მრავალ წიგნი წაეკითხოს მეცნიერთა ოსტატთა აქიმთათანა, და მრავალჯერ კურნებასა და მხუდარიყოს, და პირმართალი, და მისანდობელი, და უხარბო იყოს, და დიდის გემოთ, და ზანტი არ იყოს, და გლახაკთა უნუკუარი იყოს, და უამისო თუ იქნების, სჯობს, რომელ სნეულსა ზედა არ მიუყვანონ, და არავინ მიენდობოდეს" („წიგნი საექიმოი").

მკაცრი განაჩენია, — თუ ისეთი არ იქნება, როგორსაც მოითხოვს საექიმო წიგნი, „სჯობს, რომელ სნეულსა ზედა არ მიუყვანონ" — ე. ი. ავადმყოფი არ ანდონო...

...მივყვეთ თანმიმდევრობით:

...რომელ აქიმობაი კარგად და სრულად იცოდეს...

ქართული უროლოგიური სკოლა რომ მსოფლიოშია აღიარებული, ეს პირველად ბატონ ვასოსგან არ მომისმენია. ხოლო ამ სკოლის ფუძემდებლები მუხაძე, თოდაძე, გზირიშვილი, — საქართველოშიც ცნობილნი არიან და მის ფარგლებს გარეთაც. ვასილ ბაბუხადიაც მათ რიგს აგრძელებს, არის ორი დარგის პროფესორი, — ქირურგი და უროლოგი. 1973 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს უროლოგიის კათედრას სამედიცინო ინსტიტუტში, არის 140 ნაშრომის, 12 მონოგრაფიისა და 5 სახელმძღვანელოს ავტორი, შემოქმედებითი მუშაობა პრაქტიკულ საქმიანობას თან სდევს. დღესაც ზედმიწევნით დატვირთულია მისი, როგორც ექიმ-პრაქტიკოსის, ყოველი დღე, კვლავ იმედით შეჰყურებენ შარდსასქესო ორგანოთა დაავადებების უბადლო დასტაქარს პაციენტები...

...და მრავალჯერ კურნებასა დამხუდარიყოს...

— გულახდილად გეტყვით, ექიმებისთვის წინა პერიოდები სჯობდა, სხვა რომ არაფერი, მაშინ ექიმს მუშაობის საშუალება ჰქონდა, — გულისტკივილით მიამბობს ბატონი ვასო, — დღეს კი ექიმი მიცხადებს, რომ მორიგედ ვერ დარჩება, რადგან არ იცის, ღამით ცოცხალი გადარჩება თუ არა. ადრე ჩვენი ექიმი ავადმყოფისთვის წამლის მოთხოვნას როგორ იკადრებდა, დღეს კი ვითხოვთ, რადგან სხვა გამოსავალი არა გვაქვს, ეს კი დიდ უხერხულობებს გვიქმნის. პრაქტიკულად მოსახლეობის დიდი ნაწილი სამედიცინო მომსახურების გარეშეა დარჩენილი. ეს არის სიმართლე, რაც ძალიან მაწუხებს, ხვალ რა იქნება, არავინ იცის.

...და პირმართალი...

— ორმოცდაექვსი წელიწადია უროლოგიას ვემსახურები, მაგრამ ვერ ვიკადრებ განვაცხადო, რომ ყველა ოპერაციას ერთნაირად ვაკეთებ. მე შესანიშნავად გამომდის თირკმლის ოპერაცია, მაგრამ ასე კარგად ვერ ვაკეთებ საშარდე ბუშტის ოპერაციას... არის ასეთი დაავადება, — პროსტატიტი, უამრავი სამეცნიერო ლიტერატურა მაქვს შესწავლილი ამ დაავადების შესახებ, პრაქტიკულადაც ბევრჯერ მქონია საქმე ამ სახის ავადმყოფთან და მაინც მიმაჩნია, რომ ეს იმდენად რთული დაავადებაა, შეუძლებელია ყველას ერთნაირად კარგად უმკურნალო; როგორ მწყინს, როცა დღეს ასე მომრავლებული ექსტრასენსები, ერთობლივ ყველა, თითქოს პირი შეკრესო, აცხადებენ, რომ წარმატებით კურნავენ ამ ურთულეს დაავადებას. არსებობს პროსტატის კიბო, პროსტატის სარკომა, პროსტატის ტუბერკულოზი, პროსტატის ქვა, პროსტატის გადიდება — ყველა თავისებურ მკურნალობას მოითხოვს... მე ბიოდენებს კი არ ვუარყოფ, ექსტრასენსთა განსწავლულობაში მეპარება ეჭვი, ისეთი სიმსუბუქით აცხადებენ — ვკურნავ და თანაც წარმატებითო. ისე კი, მაინც ვერავინ დამაჯერებს, რომ მოტეხილი ძვლის ჯელის სმით შეხორცება შეიძლება, — ღიმილით ამბობს ბატონი ვასო.

...და მისანდობელი...

გენიალურ მწერალს და ექიმს, ანტონ ჩეხოვს, ერთხელ თურმე უსაყვედურეს, — ლიტერატურას ნაკლებ ყურადღებას უთმობთო, — რაზეც მან იუმორით უპასუხა, — „მედიცინა ჩემი კანონიერი ცოლია, ლიტერატურა კი — საყვარელიო"...

ვასილ ბაბუხადიას რომ ჰკითხოთ, მისთვის ექიმის პროფესია არც სამსახურია, მით უმეტეს, არც მომსახურება, არც მატერიალური უზრუნველყოფის წყარო, იგი სულ სხვაა, ალბათ მოწოდება, ან სულიერი მოთხოვნა იმისა, გახარჯო საკუთარი ჯანმრთელობა სხვისი ჯანმრთელობის დასაცავად.

შეუძლებელია არ მიენდო და არ დაუჯერო ექიმს, რომლის ავადმყოფთან ურთიერთობის ამოსავალი ასეთია: — ჩვენ ვართ სამნი — მე, შენ და ავადმყოფობა. იმ შემთხვევაში, თუ შენ იქნები ავადმყოფობის მხარეზე, მე ვრჩები მარტო და, ცხადია, მაჯობებთ, — შენი მორჩენა გაძნელდება. მაგრამ თუ შენ იქნები ჩემს მხარეზე, მაშინ ავადმყოფობა დარჩება მარტო და ჩვენ ორივეს მისი დაძლევა არ გაგვიძნელდება...

...და უხარბო...

— ერთხელ, საჯარო ლექციის შემდეგ მკითხეს, თუ რამდენად პერსპექტიულია მედიცინაში მატერიალური სტიმულირების საკითხი.

მართალია, არის მეცნიერებისა და პრაქტიკის ისეთი დარგები, სადაც ადამიანი, ან ადამიანთა ჯგუფი, გარკვეულ ფასეულობას ქმნის. არის ისეთი დარგებიც, სადაც გაწეული შრომითი ღირებულება არ შეიძლება შეფასდეს, ასეთია ექიმის შრომა.

სიცოცხლის ღირებულების შეფასება პრაქტიკულად არ ხდება, შეუძლებელია მისი გასხვისება, გაცვლა, დაკარგვის შემთხვევაში კი დაბრუნება, ამიტომაც არის იგი განსაკუთრებულად სათუთი და ძნელი მოსავლელი.

ექიმი, რომელმაც შეისისხლხორცა ეს ცხოვრებისეული სინამდვილე, ბუნებრივია, არ დაზოგავს თავის ცოდნას, ენერგიას და ადამიანურ ზნეობას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში დამამცირებელი საზღაურისათვის.

...და გლახაკთა უნუკუარი იყოს...

ტკივილის ფენომენზე ვსაუბრობთ; ბატონი ვასო თვლის, რომ უროლოგს, სხვა დარგის ექიმზე უკეთ უნდა ახსოვდეს ტკივილის შესახებ, რადგან უროლოგიურ ავადმყოფთა გამოკვლევების დიდი უმრავლესობა, სამწუხაროდ, ტკივილთან არის დაკავშირებული.

და კიდევ ერთი, — უროლოგიურ ავადმყოფთა უმრავლესობა ხანში შესული და მოხუცია. მოხუცი კაცი კი გარდა იმისა, რომ ნაჯაფია, ზედმეტად ჭირვეული და ემოციურია, მოითხოვს განსაკუთრებულ მზრუნველობასა და მოფერებას.

ხოლო ექიმი, რომელსაც ეს ახსოვს, შეუძლებელია არ ცდილობდეს სხვისი ტკივილის დაამებას, დასალბუნებას...

...არავითარი ყოვლისმცოდნის მენტორული მზერა, არავითარი ამპარტავნობა ესოდენ ბევრი ტიტულების გამო, არავითარი მოხუცასაკოვანის წელთა სიმძიმე! — საუბრობს მშვიდად, მისი თაობისათვის ესოდენ დამახასიათებელი შინაგანი ღირსებითა და სიდარბაისლით, მიამბობს თავისი კათედრის შესახებ, ძალიან ეიმედება სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიული განყოფილების მე-6 კურსი, წუხს ჩვენი დღევანდელი ყოფის გამო, აუცილებლად თვლის სამთავრობო პოლიტიკისადმი აქტიურ მხარდაჭერას. რაც შეეხება აფხაზეთის პრობლემას, იგი დარწმუნებულია, რომ აფხაზეთი არამცთუ ცალკე სტრუქტურად, საქართველოს ნაწილადაც კი არ უნდა ჩაითვალოს, — ის საქართველოს ნაწილი კი არა, — საქართველოა, მომხრეა იმისა, რომ შეწყდეს პარლამენტის სხდომების ტრანსლირება, რადგან საზოგადოება ამან ნევროზულ მდგომარეობამდე მიიყვანა. კითხვაზე, — მოსწონს თუ არა ჩვენი პარლამენტი, — ჩვეული სიდინჯით მპასუხობს:

— პარლამენტს უნდა ჰქონდეს თავისი ქცევისა და შრომის კულტურა. თუ აქვს ეს ჩვენს პარლამენტს, ესე იგი კარგი ყოფილაო... საერთოდ კი არ არის საჭირო ზედმეტი თავის მოწონება იმით, რაც გევალება რომ აკეთო, რაც შენი სამსახურებრივი მოვალეობაა.

• • •

...ვსაუბრობთ სათნო ქალბატონის, ბატონი ვასოს მეუღლის, — ნინო შარტავას თანდასწრებით, ისეთი ყურადღებით უსმენს, თითქოს პირველად უსმენდეს, მერე მოწიწებით გამოაქვს წიგნი, აწვდის ბატონ ვასოს და სთხოვს ავტოგრაფი წააწეროს... ეს წიგნი „ექიმის ფიცი და საექიმო ეთიკის ზოგიერთი საკითხი" დაგეხმარებათ მისი პიროვნების უკეთ შეცნობაში, — მირჩევს უბრალოდ... მერე ვემშვიდობები გულღია მასპინძლებს, ჩამოვდივარ კიბეებზე და ზურგს უკან დახურული ჭიშკარი კვლავ ჭრიალით იღება...

ფერიდე ბიწაძე.
თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

მოკლეს უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 7 თებერვალს, 24 საათზე ნაძალადევის რაიონში, თიანეთის ქუჩაზე ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა ცეცხლსასროლი იარაღით გულმკერდის არეში დაჭრა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი ვასილ კობერიძე, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

მიმდინარეობს გამოძიება.

გზა დაელოცით

ევროპის 1996 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის VII შესარჩევი ჯგუფის ნაკრები გუნდების წარმომადგენელთა შეკრებაზე, რომელსაც ამ დღეებში უმასპინძლა მაინის ფრანკფურტმა, დაზუსტდა საკვალიფიკაციო მატჩების კალენდარი.

1994 წელი

7 სექტემბერი. უელსი-ალბანეთი, საქართველო — მოლდოვა.

12 ოქტომბერი. ბულგარეთი — საქართველო, მოლდოვა — უელსი.

16 ნოემბერი. ალბანეთი — გერმანია, საქართველო — უელსი, ბულგარეთი — მოლდოვა.

14 დეკემბერი. მოლდოვა — გერმანია, უელსი — ბულგარეთი, ალბანეთი — საქართველო.

18 დეკემბერი. გერმანია — ალბანეთი.

1995 წელი

29 მარტი. საქართველო — გერმანია, ბულგარეთი — უელსი, ალბანეთი — მოლდოვა.

26 აპრილი. გერმანია — უელსი, საქართველო — ალბანეთი, მოლდოვა — ბულგარეთი.

7 ივნისი. უელსი — საქართველო, ბულგარეთი — გერმანია, მოლდოვა — ალბანეთი.

6 სექტემბერი. უელსი — მოლდოვა, გერმანია — საქართველო, ალბანეთი — ბულგარეთი.

7 ოქტომბერი. ბულგარეთი — ალბანეთი.

8 ოქტომბერი. გერმანია — მოლდოვა.

11 ოქტომბერი. საქართველო — ბულგარეთი, უელსი — გერმანია.

15 ნოემბერი. გერმანია — ბულგარეთი, ალბანეთი — უელსი, მოლდოვა — საქართველო.

აღსანიშნავია, რომ ქართველთა ხუთივე მეტოქის მასპინძლები [illegible] თანხმდნენ თბილისში ითამაშონ.

ხსოვნა

ნიკოლოზ კეკელიძე

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს, ტერორისტული აქტის შედეგად დაიღუპა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საინჟინრო სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ (ნიკუშა) ბედის ძე კეკელიძე.

ნ. კეკელიძე დაიბადა 1960 წლის 26 თებერვალს ქ. თბილისში. 1976 წელს დაამთავრა 55-ე საშუალო სკოლა. 1978 წელს ჩაირიცხა სამხატვრო აკადემიაში დეკორატიულ-გამოყენებითი ფაკულტეტის ინტერიერის განყოფილებაზე. სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდში მოეწყო მისი პირველი პერსონალური გამოფენა, სტუდენტობისას სისტემატურად მონაწილეობდა ახალგაზრდა მხატვრების გამოფენებში. აკადემიის დამთავრებისთანავე ნიჭიერი მხატვარი, გამონაკლისის წესით, მიიღეს მხატვართა კავშირის წევრად.

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, ნ. კეკელიძე მუშაობდა დეკორატიული კულტურების საწარმოო კომბინატის საამქროს უფროსად, მრავალდარგოვან კოოპერატივ „უნივერსალის" თავმჯდომარედ. 1990 წლის თებერვლიდან იყო ავსტრია-საქართველოს ერთობლივი საწარმოს გენერალური დირექტორი. იგი ავტორია გერმანიის ქ. ჰაიდელბერგის არქიტექტურული ანსამბლისა „ქართული მოედანი". ამ პერიოდში არაერთი ნიჭიერი მხატვრისათვის გაუმართავს მას ხელი. 1990-92 წლებში მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მოეწყო ახალგაზრდა ქართველ მხატვართა გამოფენები ვენაში, ჰაიდენბერგსა და ანტვერპენში. დიდი წვლილი მიუძღვის ყოველთა წმინდათა ეკლესიის რესტავრაციაში.

ნ. კეკელიძეს ფართო კონტაქტები ჰქონდა თურქეთის, ბელგიისა და რუსეთის საქმიან წრეებთან. ცალკეა აღსანიშნავი ნ. კეკელიძის სამხედრო ბიოგრაფია. ახალგაზრდა შემოქმედი ქართული ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბების პირველივე დღიდან ჩადგა მის რიგებში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამხედრო აღმშენებლობაში, იყო პირველი საარმიო კორპუსის მეთაურის მოადგილე, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საინჟინრო სამმართველოს ხელმძღვანელი.

ნ. კეკელიძე ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, მეომრებს უყვარდათ და აფასებდნენ გოლიათური აღნაგობის წარმოსადეგ მეთაურს, რომელიც გმირობისა და ვაჟკაცობის მაგალითს უჩვენებდა თავის ხელქვეითთ.

პოლკოვნიკ ნიკოლოზ კეკელიძის სახით საქართველომ დაკარგა მგზნებარე პატრიოტი, სამი მცირეწლოვანი ბავშვის მამა და ნიჭიერი შემოქმედი, რომლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება თანამებრძოლების, მეგობრებისა და ახლობლების გულებში.

გენერალ-მაიორი გ. ყარყარაშვილი, გენერალ-მაიორი პ. დათუაშვილი, გენერალ-მაიორი თ. დუმბაძე, გენერალ-მაიორი ჯ. ჭუმბურიძე, პოლკოვნიკი ჯ. ქარჩავა, პოლკოვნიკი რ. გახოკიძე, პოლკოვნიკი ზ. ჩაჩუა, გენერალ-ლეიტენანტი რ. თავაძე, გენერალ-ლეიტენანტი ვ. გურგენიძე, პოლკოვნიკი თ. ცხაკაია, გენერალ-მაიორი გ. წურაშვილი, პოლკოვნიკი დ. სოხაძე, პოლკოვნიკი ნ. მუხერიძე.

ვიქტორ ბაციკაძე

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ასოციაცია „საქტრანსერვისის" პრეზიდენტი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, საპატიო რკინიგზელი ვიქტორ ივანეს ძე ბაციკაძე.

დაიბადა 1936 წელს ქ. ბათუმში. 1964 წელს დაამთავრა დნეპროპეტროვსკის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი რკინიგზების ექსპლუატაციის ინჟინრის სპეციალობით. შრომითი საქმიანობა დაიწყო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 1964 წელს, ოდესის რკინიგზაზე, სადაც განვლო შრომითი გზა სადგურ ოდესაპორტის ინჟინრიდან, ამავე სადგურის უფროსის, ხოლო შემდეგ რკინიგზის ხერსონის განყოფილების უფროსის მოადგილემდე.

1982 წლიდან ვ. ბაციკაძე გადმოიყვანეს ამიერკავკასიის რკინიგზაზე. მუშაობდა მოძრაობის სამსახურის უფროსის მოადგილის, ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსის, ხოლო 1987-91 წლებში გზის უფროსის პირველი მოადგილის თანამდებობებზე.

ღრმად განათლებული, ინტელიგენტი, რკინიგზის ტრანსპორტის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ვიქტორ ბაციკაძე პატივისცემითა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის კოლექტივში.

მისი დაუღალავი და უანგარო საქმიანობა არაერთხელ იქნა აღნიშნული მთავრობის ჯილდოებით.

ვ. ბაციკაძის ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების გულებში.

საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტი; საქართველოს რკინიგზის პროფკავშირის საგზაო კომიტეტი.

საქართველოს ალ. ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების საპატიო წევრი, ღვაწლმოსილი გეოგრაფი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

შალვა იაკინთეს ძე უიფიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ახლობლებს.

ტურისტთა და ბიზნესმენთა საყურადღებოდ!

ფირმა „გრაალი" გთავაზობთ დასასვენებელ და ბიზნეს ტურებს. ტურისტები იცხოვრებენ კომფორტაბელურ სასტუმროებში. მოემსახურებათ იკარუსის მარკის ავტობუსები. ტურისტები იმგზავრებენ დამატებითი გადასახადების გარეშე.

ჩვენი მარშრუტებია:

1. თბილისი-ბულგარეთი-თბილისი ქ. სოფია
თბილისი- ბულგარეთი-რუმინეთი-თბილისი ქ. სოფია, ქ. ბუქარესტი
2. თბილისი-თურქეთი-თბილისი ქ. სტამბული
თბილისი-თურქეთი-სირია-თბილისი ქ. ალეპო
3. თბილისი-გერმანია-თბილისი ქ. ფრანქფურტი
თბილისი-პოლონეთი-თბილისი ქ. ვარშავა
4. თბილისი-ეგვიპტე-კვიპროსი-თბილისი. ქ. ალექსანდრია, ქ. ნიქოზია
თბილისი-ჩინეთი-თბილისი ქ. კულჯა

თბილისი, ვანის ქ. №4, რესპუბლიკის ოპერის შენობაში
დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ:
34-55-58, 34-62-70, 68-15-48 (18 საათიდან)

ფირმა მუშაობს ყოველდღე.

როგორც მხედრულ სულს ეკადრება...

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, არმიის არსებობა არაერთგვაროვან წარმოდგენას იწვევდა... მისი ნამდვილი სახე ტყუილ-მართალში გახვეული სქელი ფარდის მიღმა რჩებოდა და ამიტომაც უმრავლესობისათვის ის მხოლოდ სადღესასწაულო აღლუმებში მწყობრად გავლილი ძალა იყო.

ახლა დადგა ის დრო, როცა საკუთარ ეროვნულ არმიაზე უნდა ვიფიქროთ. და როცა ქართველ კაცს, უკვე რამდენი წელია, ჯერაც არ ჩაუგია ხმალი ქარქაშში, პარალელურად უხდება არმიის ჩამოყალიბებაზე მუშაობა. ასეა თუ ისე, არმია იქმნება თავისი მიზნებითა და ამოცანებით. მიზანი კი ერთია — იყოს ისეთი, როგორც ქართულ მხედრულ სულს ეკადრება... თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი დარჩა „ჰერკულესის სვეტებამდე"... ამჯერად, ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთს შევეხებით — ეროვნული არმიის სპორტულ ცხოვრებას, რომელიც, დაგვეთანხმებით, ხვალინდელი რიგიანი დღისათვის, განჯანსაღებისათვის, განმტკიცებისათვის, სწორედ რომ ნამდვილი პირობაა. და კიდევ, იგი ის საშუალებაცაა, ქართულ არმიას სახელს რომ მოუხვეჭს, მრავალ პრესტიჟულ ქულას რომ ჩაუწერს მის ყოფას.

ამ სპორტულ ცხოვრებას ჯერ ერთი წელიც არაა, უძღვება შეიარაღებული ძალების სპორტული კლუბი, რომელიც თავდაცვის სამინისტროს სპორტის, ტურიზმისა და მონადირეთა კავშირის სამმართველოსთან ჩამოყალიბდა და არ გადავამეტებთ, თუ ვიტყვით, რომ თავისი არსებობის ხანმოკლე დროის განმავლობაში შესაშური მუშაობაც გასწია.

კლუბი გარანტიაა იმისა, რომ სამხედრო ვალდებულებაში მყოფი სპორტსმენები ერთიანდებიან სპორტულ ასეულში და საშუალება ეძლევათ სამხედრო ხელოვნების დაუფლებასთან ერთად, განაგრძონ სპორტული წვრთნა სპორტის შესაბამის სახეობებში, არ ჩამოსცილდნენ სპორტულ არენას. აქ ერთდროულად ხდება სპორტული და მხედრული ცხოვრების შეთავსება.

საგულისხმოა კლუბის წარმატებები დღევანდელი დღისათვის: დავიწყოთ სამბისტებით — ევროპის ჩემპიონატზე ზემდეგმა თამაზ გოჩელაშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო რიგითმა მიხეილ აბაშიძემ ორი ოქროს მედლით (ჭაბუკებში და დიდებში) დაიმშვენა მკერდი. ეს ის მიშიკოა, რომელიც ჯერ სამაჩაბლოში და შემდეგ აფხაზეთში აქტიურად იდგა სამშობლოს მთლიანობისათვის მებრძოლთა რიგებში. ახლახან, ომსკში გამართულ მსოფლიო პირველობაზე „სამბოში" საქართველოს ნაკრების 10 წევრიდან 5 არმიის სპორტული კლუბის წევრი იყო. სამწუხაროდ, იგივე აბაშიძის გამგზავრება ფედერაციამ ვერ შესძლო უსახსრობის გამო, ხოლო დანარჩენებმა — ვალერი პარუნაშვილმა და არჩილ ჩოხელმა ოქროს, ხოლო თამაზ გოჩელაშვილმა და ჯონდო მუზაშვილმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

შეიარაღებული ძალების სპორტულ კლუბში თავი მოიყარეს უძლიერესმა ძალოსნებმა: აქ არიან ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი, ბიძინა მიქიაშვილი, მუხრან გოგია, იგორ კობზევი, კობა ტალახაძე; ისინი მწვრთნელის ვანო გრიქუროვის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ.

კახიმ ჯერ ლონდონში მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპი მოიგო, ხოლო ახლახანს ავსტრალიაში მსოფლიო პირველობაზე ცალკეულ მოძრაობებში ერთი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ორჭიდის ჯამში მან მეორე ადგილი დაიკავა. რომ არა მცირე ტრავმა, პირველობას ვერავინ წაართმევდა. ამავე ჩემპიონატზე მიქიაშვილი მეშვიდე ადგილზე გამოვიდა.

დღეს ნებისმიერ სფეროში რაიმეს წინასწარ თქმა მეტად რთული საქმეა. მით უმეტეს, სპორტში, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება დოტაციაზე, ან სპონსორთა იმედზე. და თუ რაიმე გაკეთდა კლუბში, ეს თავდაცვის სამინისტროს და თვითონ კლუბის ხელმძღვანელობის უდიდესი ძალისხმევის და მონდომების შედეგად.

კლუბის ხელმძღვანელობაში იმდენი პროფესიონალიზმი, საქმისადმი სიყვარული და ენთუზიაზმი დავინახე, რამდენიც დიდი ხანია, არსად მინახავს. გასაკეთებელიც ძალიან ბევრია: მოსახლეობის მიერ არსენალის გაძარცვისა და გაპარტახების გამო სპორტულ ასეულს არა აქვს ჭერი, აღსადგენი და მოსაწესრიგებელია ბაზები, თანაც, ასეთი გაჭირვების პირობებში; იმედი? იმედი, რომ მშვიდობა დამყარდება, მატერიალური თანადგომა იქნება... რა გამოლევს კეთილშობილ ადამიანებს! და კიდევ დიდი იმედი... ბატონი მინისტრის — ეს ის კაცია, რომელსაც ძალიან უყვარს სპორტი.

დიდი იმედია არა? ჩვენც ასე ვფიქრობთ.

მზია მორჩაძე,
თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 666